საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 28 ივლისი, 2015 წელი.

№139 (7784)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუნთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

ეს პრესტიჟია საქართველოსი!

ოლიმპიური ფესტივალი გაიხსნა!

მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე საზეიმოდ გაიხსნა ევროპის XIII ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი.

„ქალბატონებო და ბატონებო, საღამო მშვიდობისა! კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ევროპის XIII ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის გახსნის ცერემონიალზე! ცოტა ხანში ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი სპორტული ღონისძიება დაიწყება! მიხეილ მესხის სახელობის სტადიონი მზადაა გულშემატკივრების და ფესტივალში მონაწილე ათასობით სტუმრის მისაღებად. ჩვენ 50 ქვეყნის 3500-ზე მეტ ახალგაზრდა ათლეტს შევხვდებით, სპორტის ცხრა სახეობის ახალგაზრდა მოასპარეზეებს“! – ამ სიტყვებით მიესალმნენ ცერემონიალის წამყვანები ნიკა ლომიძე და ნუცა ქავთარაძე სტუმრებს.

ოფიციალური ნაწილის დაწყებამდე სეუ-ს ბენდმა მსოფლიო ჰიტები შეასრულა, შემდეგ კი სტადიონის აღმოსავლეთ ტრიბუნასთან დამონტაჟებულ ორ დიდ მონიტორზე თბილისი-2015-ის ცეცხლის საქართველოში მოგზაურობის კადრები გამოჩნდა. ფესტივალის ერთ-ერთი სიმბოლოს მოგზაურობა ჩვენს ქვეყანაში 26 მაისს დაიწყო და 67 ქალაქსა თუ რაიონულ ცენტრს ესტუმრა.

ცერემონიალის დაწყებამდე ზუსტად 15 წუთით ადრე მონიტორებზე დროის უკუთვლა დაიწყო, შემდეგ კი ტრიბუნების შესასვლელებთან მედოლეები ახმაურდნენ – გახსნის ცერემონიალი დაიწყო! დოლისცემა და ფოიერვერკი საქართველოს ისტორიაში მოგზაურობამ ჩაანაცვლა: სტადიონის შუაგულში მოწყობილ სცენაზე არგონავტების მითი გაცოცხლდა – იაზონის და მედეას სიყვარული და კოლხეთიდან ოქროს საწმისის მოტაცება. წარმოდგენის ვარსკვლავი მედეას როლის შემსრულებელი, პრიმა-ბალერინა ირმა ნიორაძე გახლდათ.

შემდეგ სტადიონზე საქართველოს სახელმწიფო დროშა შემოაბრძანეს, მსოფლიო საოპერო სცენის ვარსკვლავმა პაატა ბურჭულაძემ კი ბავშვთა ანსამბლ „გვირილასთან“ ერთად სახელმწიფო ჰიმნი შეასრულა.

ფოიერვერკის შემდეგ ათლეტთა აღლუმი დაიწყო – საბერძნეთს ალბანეთი მოჰყვა, ალბანეთს – ანდორა და ასე შემდეგ უკრაინამდე, ბოლო აკორდი კი არგონავტების ხომალდიდან საქართველოს გუნდის გამოჩენა იყო – ჩვენი ქვეყნის ხუთჯვრიანი დროშის გამოჩენას ათასობით გულშემატკივარი ტაშით შეეგება!

ოლიმპიური ფესტივალის მონაწილე გუნდების სცენაზე გამოსვლის შემდეგ ოფიციალურ სტუმრებს, სპორტსმენებს და გულშემატკივრებს სიტყვით მიმართეს თბილისი 2015-ის საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელმა ალექსი ახვლედიანმა და ევროპის ოლიმპიური კომიტეტების პრეზიდენტმა პატრიკ ჰიკიმ, ბატონი პატრიკის სიტყვის შემდეგ კი საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა „ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი თბილისი-2015 გახსნილად გამოაცხადა“!

სტადიონზე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დროშა შემოაბრძანეს – ამ საპატიო ცერემონიალში ქართული და მსოფლიო სპორტის ლეგენდები, ოლიმპიური ჩემპიონები მონაწილეობდნენ: ნონა გაფრინდაშვილი, რაფაელ ჩიმიშკიანი, რომან რურუა, ვაჟა კაჭარავა, ლევან თედიაშვილი და ვახტანგ ბლაგიძე.

ოლიმპიური დროშის აღმართვის შემდეგ ათლეტთა, მწვრთნელთა და მსაჯთა ფიცის დადების დრო დადგა. სპორტსმენთა შორის ეს პატივი გიგა ზარნაძეს ხვდა წილად, მწვრთნელებში – დავით კვერნაძეს, მსაჯებს შორის კი – რუსუდან სიხარულიძეს.

ოლიმპიური ფესტივალის გახსნის საზეიმო ცერემონიალის მშვენება იყო წითლად აელვარებულ სცენაზე „სუხიშვილების“

შესრულებული ხორუმი და სამაია, რომელმაც, მოლოდინისამებრ, წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა! „სუხიშვილებს“ რევაზ ლაღიძის „საჭიდაო“ მოჰყვა, რომელიც ოთხმა ახალგაზრდა პიანისტმა შესანიშნავად შეასრულა.

ორსაათიანი წარმოდგენა ცეცხლის ანთების ლამაზი სცენით დასრულდა: ჭექა-ქუხილის შემდეგ კავკასიონი გადაიხსნა, კვამლიდან ჰელიოსფერო ამოვარდა, მოედნის შუაგულში კი ჰელიოსფეროზე მოცეკვავე აკრობატმა ცეცხლი ოლიმპიურ ჩემპიონს გელა კეტაშვილს გადასცა, მან, თავის მხრივ, მეორე მეჩირაღდნეს – პარალიმპელ თემო დადიანს. შემდეგ ნინო სალუქვაძის ჯერი დადგა (რიოს საგაისო ოლიმპიადა ნინოსთვის ზედიზედ მერვე იქნება!), ბოლოს კი ჩირაღდანი ათენი-2004-ის ტრიუმფატორმა ზურაბ ზვიადაურმა ჩაიბარა, რომელმაც სამხრეთ ტრიბუნის საფეხურებზე აირბინა და... თბილისი-2015-ის ცეცხლი კუს ტბაზე აგიზგიზდა!

გუშინ ევროპის XIII ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი – თბილისი-2015 დაიწყო. ამგვარი ოლიმპიადების ისტორიაში პირველად ის ექვსდღიანი იქნება!

კობა კობახიძე

ირაკლი ღარიბაშვილს ოლიმპიური ორდენი გადაეცა

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის უმაღლესი ჯილდო – ოლიმპიური ორდენი გადაეცა.

მთავრობის მეთაური ოლიმპიურ მოძრაობაში განსაკუთრებული წვლილისა და უშუალო ჩართულობისთვის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ლერი ხაბელოვმა დააჯილდოვა.

ირაკლი ღარიბაშვილმა ჯილდო ევროპის ოლიმპიური კომიტეტების პრეზიდენტისგანაც მიიღო. პატრიკ ჰიკიმ ირაკლი ღარიბაშვილი ასევე ოლიმპიური ფესტივალის სამზადისში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის დააჯილდოვა და მადლობა გადაუხადა.

ვინ არის გიორგი „კვანტ...ალიანი“?

პრეზიდენტი დაბრძანდა და დაყრუვდა...

3

დემურ გიორგელიძე:

ელექტრომაფია და სამთავრობო ლობი ხალხს ერთობლივად აღატაკებენ!

4

სააკაშვილი მატყუარა, პოპულისტი და ცინიკოსი ნაძირალაა

7

რის საფუძველზე ამტკიცებს ამას უკრაინის რადას დეპუტატი, რომელიც მას სასამართლოში უჩივის?

◎ ფინანსური კრიზისის სათავე

მარეგულირებელ კომისიებში ბაკქანალიაა, მათი ხელფასების ოდენობა რომ ნახოთ, თმები ყალყზე დაგიდგებათ!

ხელისუფლება საჯარო სამსახურის რეფორმას იწყებს, ოპოზიცია კი, ცვლილებებს ფასადურს და პიარზე გათვლილს უწოდებს. საკანონმდებლო ორგანო 65 კანონში მომზადებულ ცვლილებებს სექტემბრის ბოლომდე დაამტკიცებს, ახალი რეგულაციები კი, 2017 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება.

საჯარო სამსახურის ბიუროს ხელმძღვანელის **ეკა ქარდავას** განმარტებით, ცვლილებებით, სახელმწიფო და საჯარო სამსახური

გამიჯნული იქნება — სახელმწიფო სამსახურად დეპუტატისა და მინისტრების, მათი მოადგილეების საქმიანობა მიიჩნევა, აპარატების საქმიანობა კი, საჯარო სამსახურს განეკუთვნება.

პროექტით, საჯარო სამსახურში პროფესიული საჯარო მოხელის ინსტიტუტი ყალიბდება, ხოლო პროფესიულ საჯარო მოხელედ მიიჩნევა პირი, რომელიც საჯარო სამსახურის საშტატო თანამდებობაზე უვადოდ ინიშნება.

პროფესიული საჯარო მოხელე საკუთარ უფლებამოსილებებს პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის დაცვით განახორციელებს, რითაც საჯარო მოხელეს ეკრძალება თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება პარტიული ინტერესებისათვის, ან რომელიმე პოლიტიკური სუბიექტის წევრობა.

ამას გარდა, ცვლილებებით, საჯარო მოხელის სერტიფიცირება მოხდება, ატესტაცია გაუქმდება და წელიწადში ერთხელ, საჯარო მოხელის საქმიანობის შეფასება მოხდება.

აღსანიშნავია, რომ პარლამენტში წარდგენილი ცვლილებებით, პრემიებისა და სახელფასო სისტემის დაკონკრეტება ხდება. კერძოდ, პროექტით, საჯარო მოხელის დანამატი შესაძლებელია გაიცეს მხოლოდ უშუალო უფროსის დავალებით შესრულებული ზეგანაკვეთური სამუშაოს და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის ასანაზღაურებლად. ამასთანავე, კლასის ან შესრულებული სამუშაოს კუთხით, პრემია იქნება წახალისების ფორმა და არა ხელფასის რაოდენობა.

სახელფასო სისტემის ახლებულ რეგულაციებთან დაკავშირებით, პრეტენზიები აქვთ კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიაში. კომისიის თავმჯდომარე **ვახტანგ აბაშიძე** რეფორმას მიესალმება, მაგრამ მიიჩნევს, რომ კანონპროექტი დამოუკიდებელ სახელმწიფო ორგანოებს, მათ შორის მარეგულირებელ კომისიებს არ უნდა შეეხოს.

„კომუნიკაციებისა და ენერგეტიკის მარეგულირებელ კომისიებს რომ არ შევეხო, რომლებიც მთავრობისგან დამოუკიდებელი ორგანოები არიან, მთავრობამ უნდა დაადგინოს, ეროვნული ბანკის აპარატის თანმშრომლების ხელფასები. ეს არის თუ არა გარკვეული დამოკიდებულება მთავრობასა და ეროვნულ ბანკს შორის?! როგორ შეიძლება, მთავრობას დავუქვემდებაროთ ეროვნული ბანკის და მარეგულირებლების საკადრო პოლიტიკა და ასევე ფინანსური პოლიტიკა?!“, — ინტერესდება აბაშიძე, ის მიიჩნევს, რომ ცვლილებები ბევრ უხერხულობას ქმნის და შეიძლება ბევრი პრობლემაც შეიქმნას, მათ შორის შესაძლო პოლიტიკური გავლენების ჩამოყალიბების წინაპირობების თვალსაზრისით.

აბაშიძის პროგნოზით, კანონპროექტით, კომუნიკაციების მარეგულირებლი კომისიის შესაძლებლობა მთლიანად „იკეტება“, რომ კადრები კერძო სექტორიდან მიიღოს.

აბაშიძის მსგავსად, სახელფასო სისტემასთან დაკავშირებით, კითხვები აქვს იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს **ვახტანგ ხმალაძეს**.

კანონპროექტის მიხედვით, საჯარო სამსახურში თანამდებობრივი სარგოები განისაზღვრება და სარგოს ზედა და ქვედა ზღვარი წესდება, ოდენობას კი, მთავრობა განსაზღვრავს. ხმალაძის შეფასებით, ეს მიდგომა საჯარო დაწესებულების ინტერესებთან ეფექტური არ იქნება.

— უმჯობესია, რომ ზღვარი კანონით განსაზღვრული იყოს. კონკრეტულ დაწესებულებაში რამდენი უნდა იყოს სარგო, ეს დაწესებულებამ უნდა განსაზღვროს და ყველას ერთ სარეცელში მოქცევა, სწორი არ იქნებოდა, — აცხადებს ხმალაძე.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ზოგადად ცვლილებებს მნიშვნელოვან რეფორმად აფასებს და ამბობს, რომ საჯარო სამსახურების ერთიანი სისტემა ყალიბდება.

— დღევანდელი მდგომარეობიდან განსხვავებით, კანონის მოქმედების სფეროში საჯარო სამართლის იურიდიული პირები და არაკომერციული პირები არ შედიან, რაც არასწორია. ისეთი სპეციფიკური დაწესებულება, როგორიცაა პროკურატურა, ეროვნული ბანკი, ეროვნული მარეგულირებელი კომისიები და აუდიტის სამსახური, იქ განსაკუთრებული წესების დადგენა შესაძლებელი უნდა იყოს, მაგრამ საერთო ნორმები ერთიანი იქნება. ეს საჯარო მოხელეთა სოციალური დაცვისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, პირი თანამდებობიდან უსაფუძვლოდ არ გაათავისუფლონ და კარიერული ზრდა ყველგან უნდა იყოს შესაძლებელი, დასძენს ხმალაძე.

ცვლილებებს მიესალმება **ზაქარია ქუცნაშვილი**. როგორც მან განაცხადა, წარდგენილი პროექტი კარგია და მთელი რიგი სიახლეები შემოდის, თუმცა, როგორც ყველა პროექტს, ამ ცვლილებებსაც ნაკლოვანებები აქვს.

ქუცნაშვილის მოსაზრებით, ინიციატივა სამართლებრივი მექანიზმებით უნდა გაჯერდეს და არც ერთ თანამდებობის პირს არ უნდა ჰქონდეს მოქმედების ფართო არეალი.

„არ შეიძლება, რომ საჯარო სამსახური თვითრეგულირებაზე იყოს მიშვებული. ერთგულების უნარს როგორ გაზომავენ? ეს რა სამართლებრივი მექანიზმით იძნება დაცული? პრინციპს, რომ ხელფასების რანგები განისაზღვრება, ამას მივესალმები. მარეგულირებელ კომისიებში ბაკქანალიაა და მათი ხელფასების ოდენობა რომ ნახოთ, თმები ყალყზე დაგიდგებათ. მათ მინისტრებსა და დეპუტატებზე გაცილებით მაღალი ხელფასი აქვთ. ზღაპარია, რითაც გვასაზრდოებენ, რომ მათი მაღალი ხელფასი საჭიროა იმისთვის, რომ მათ პატიოსნად იმუშაონ, უკაცრავად, მაგრამ პატიოსნად მუშაობა ყველას ვალია“, — დასძენს ქუცნაშვილი, რომელიც ამბობს, რომ მარეგულირებელი კომისიის წევრებს 15-16-ათასიანი ხელფასები აქვთ...

როგორც ვთქვით, პარლამენტი აღნიშნულ ცვლილებებს ივლისის ბოლომდე პირველი მოსმენით მიიღებს, საბოლოოდ კი, სექტემბერში დაამტკიცებს და ამისთვის თანხმობა ევროკავშირისგან უკვე მიღებული აქვთ.

თეონა მანაგაძე

ჯონდი ბაღათურია აქციების გამართვას გეგმავს

„ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია სექტემბრის მეორე ნახევარში, ტარიფის მატებასთან დაკავშირებით, მასშტაბური აქციების დაწყებას გეგმავს.

ამის შესახებ ჯონდი ბაღათურიამ გუშინ გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა. მისივე თქმით, მთავრობამ უსამართლო, დაუსაბუთებელი, კორუფციულად მოტივირებული გადაწყვეტილება მიიღო ტარი-

ფების გაზრდასთან დაკავშირებით.

„ტარიფი გაიზარდა 4 თეთრით, საქართველოს მასშტაბით თბილისის გარდა. „თელასმა“ უკვე შეიტანა განაცხადი სემეკში და ტარიფის 6 თეთრით გაზრდას ითხოვს. მინდა აღვნიშნო, რომ ამჟამად არ არსებობს ტარიფის ზრდის საფუძველი, ამით დაინტერესებულია ხელისუფლება და პირადად ვიცეპრემიერი, ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე. იგი არის დღეს საქართველოში რამდენიმე ენერგოკომპანიის მფლობელი“, — განაცხადა ჯონდი ბაღათურიამ.

მისივე განცხადებით, აუცილებელია საზოგადოებრივი პროტესტი ტარიფების გაზრდასთან დაკავშირებით.

„ჩვენ ვაპირებთ მასშტაბური საპროტესტო აქციების დაწყებას სექტემბრის მეორე ნახევარში. ჩვენი მოთხოვნები იქნება, უნდა დაიწიოს ტარიფმა და არ უნდა გაძვირდეს. თუ მანამდე „თელასმაც“ მოახერხა ტარიფის გაძვირება, მაშინ აგვისტოში მიუხედავად იმისა, რომ ხალხი გასულია ქალაქიდან, რა რესურსით გვექნება, იმ რესურსით ვეცდებით გავმართოთ აქციები და გავაპროტესტოთ მთავრობის გადაწყვეტილება. ჩვენ უნდა დავიწყოთ ეროვნული დაუმორჩილებლობა კანონის ჩარჩოებში“, — განაცხადა ბაღათურიამ.

◎ ინფორმაცია

სოციალურად დაუცველები არ უნდა დაიჩაგროს

ვაუჩერის გაცემის წესის ცვლილების მთავარი ორიენტირი იქნება, არ დაიჩაგროს ჩვენი სოციალურად დაუცველი მოსახლეობა, — ამის შესახებ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილმა განაცხადა.

მისივე თქმით, მერიაში ამ თემაზე საუბარი მიმდინარეობს, შემდგომ კი პროექტი საკრებულოში შევა და მასზე დეპუტატები იმსჯელებენ. გიორგი ალიბეგაშვილმა მედიას მიმართა, ნუ გაუსწრებენ მოვლენებს და აღნიშნა, რომ საზოგადოება საქმის კურსში იქნება, თუ როგორ წარიმართება ეს პროცესი.

„ამ თემაზე დაწყებულია საუბარი, მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს, თუ ვის ეკუთვნის სუბსიდია — სოციალურად დაუცველებს, გაჭირვებულებს, რათა სახელმწიფომ არ ხარჯოს თანხა იქ, სადაც მას შეუძლია აირიდოს მეტი დაფინანსება. მერიაში მიმდინარეობს ამ თემაზე საუბარი, შემდეგ პროექტი საკრებულოში შემოვა და საკრებულო დეტალურად იმსჯელებს. მთავარი ორიენტირი იქნება, არ დაიჩაგროს ჩვენი სოციალურად დაუცველი მოსახლეობა“, — განაცხადა გიორგი ალიბეგაშვილმა.

სემეკმა მოქალაქეებს 53 ათას ლარზე მეტი ჩამოაწერა

კომისიამ ხანდაზმულად მიიჩნია და მოქალაქეებს ჩამოაწერა სს „თელასის“ მიერ მათზე დარიცხული თანხები. სულ ჩამოწერილმა თანხამ 53 582, 24 ლარი შეადგინა.

აღნიშნული საკითხები წინა წლებში წარმოქმნილ დავალიანებებს შეეხებოდა, რომელიც 2012 წლამდე მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადაუხდელობით დაგროვდა მომხმარებლების პირადი აღრიცხვის ბარათებზე. კომისია შეახსენებს მოქალაქეებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორებში მოქმედი კომპანიები არღვევენ მათს უფლებებს, მიმართონ სემეკს, ან სემეკთან არსებულ ენერგოომბუდსმენის სამსახურს. მოქალაქეებს კონსულტაციების მიღება შეუძლიათ როგორც ცხელ ხაზზე — 242 01 80, ასევე ფეისბუქის კომისიის ოფიციალურ გვერდზე.

ვინ არის გიორგი „კვანტ...ალიანი“?

პრეზიდენტი დაბრმავდა და დაყრუვდა...

ბლაყვი, თვითონაა შესაწყალებელი

საქართველოს პრეზიდენტი „თბილისი-2015“ გახსნას არ დაესწრო. ამით ოლიმპიადის პომპეზურობას არაფერი დაკლებია, სამაგიეროდ, კიდევ უფრო კარგად გამოჩნდა, როგორ გაიარა შავმა კატამ გიორგი მარგველაშვილსა და ღარიბაშვილის მთავრობას შორის. პრეზიდენტი პატარა ბავშვივით გაიბუტა, რაც პოლიტიკას არ შვენის, მაგრამ რას ვიზამთ — ესეც ერთგვარი ქართველი საზოგადოების უმწიფრობაა.

„კაცს, რომელსაც კანონი არა აქვს წაკითხული და ისე ადებს ვეტოს“ — პრეზიდენტი ჰქვია. „გუნდს, რომელმაც მოიყვანა, ჩასაფრებული ჰყავს, რომ როგორმე კვანტი დაუდოს, როგორმე დაიაზიანოს“, — ესეც მარგველაშვილია, სოციალურ ქსელში მას გვარი გადაუკეთეს და „კვანტალიანი“ უწოდეს. „მე მასზე ბევრი სასაუბრო მაქვს და ძალიან კარგად მაქვს დალაგებული. შემოდგომაზე მასთან საუბარს საჭიროების მიხედვით გავასაჯაროვებ“, — ესეც მარგველაშვილზეა ნათქვამი. ამ ფრაზების ავტორი კი ყოფილი პრემიერი ბიძინა ივანიშვილია.

პრეზიდენტად გახდომის მეორე დღესვე დაიწყო სააკაშვილის დაცვაო, — ბრაზობს ყოფილი პრემიერ-მინისტრი. „შვიდი პიჯაკისა და სამი სუშის ქვითრის გამო ყოფილი პრეზიდენტის დევნა არ გამოიყურება სათანადოდო“, — უპასუხა პრეზიდენტმა. ე. ი. ეს დეტალები რომ არა, სააკაშვილი გადასარჩევი არც ყოფილა, არა... ასეთი „უმანკო კრავები“ რომ მართავენ ქვეყანას, მერე რა უნდა ვთქვათ?! ივანიშვილი, ასე ვთქვათ, თავდებში ჩაუდგა მარგველაშვილს, რომელსაც წესითა და რიგის მიხედვით უნდა ემართა ქვეყანა. ერთი შეხედვით, გიორგი მარგველაშვილი თითქოს ხალხის მხარეს დგას, მთავრობას აკრიტიკებს, თუმცა, ეს იმდენად გამაღიზიანებელია მისი მხრიდან, რომ უკუსიმპათიებს იწვევს. ბიძინა ივანიშვილი გახდა მონსტრი თუ გიორგი მარგველაშვილი?! ნეტა, პირველად რომელს აეხილა თვალი, ანკი რას მოგვიტანს ეს დაუსრულებელი ქიშპობა? ძნელი მისახვედრი არ არის! — გულს მოიოხებს ის, ვინც პრეზიდენტით უკმაყოფილოა, და ისიც, ვინც ბიძინა ივანიშვილს ებრძვის, ქვეყანა კი, თავისი ჭირ-ვარამით, მღვრიე დინებით მიექანება...

თუ ბიძინა ივანიშვილი შემოდგომას ელოდება (ესეც საფიქრალია, რატომ?), მარგველაშვილი დროს არ კარგავს. ნაციონალების ციხიდან გამოშვების შანსს არ უშვებს ხელიდან. აკაკი ბობოხიძის ძმა ლევანი შეიწყალა მის რამდენიმე თანამზრახველთან ერთად. მართალი იყო პრემიერ-მინისტრი, როცა ამის გამო პრეზიდენტს გაუნაწყენდა. შეიძლება, ამ ლოგიკით, პრეზიდენტმა შეიწყალოს გიგი, ვანო, ბაჩო და თვით სააკაშვილიც კიო. შეწყალების კომისიის თავმჯდომარე ზვიად ქორიძე ცდილობს, ჩრდილი არ მიადგეს პრეზიდენტის იმიჯს: მან არ იცოდა, რომ აკაკი ბობოხიძის ძმა შეიწყალაო... თუ არ იცის, ფურცელზე რა წერია და ვის ათავისუფლებს, მაშინ ეს პრეზიდენტი კი არა, ბუტაფორიაა. „კაცს, რომელსაც კანონი არა აქვს წაკითხული და ისე ადებს ვეტოს“, — ესეც თურმე დასაჯერებელი რეალობაა და არა ბიძინა ივანიშვილის წარმოსახვა.

აკაკი ბობოხიძე იფიცება, მე არაფერ შუაში არა ვარ, დაკავებულის მშობლების წერილმა აუჩუყა გული პრეზიდენტსო, თან იქვე ამატებს, იმედი მქონდა შეიწყალებდაო. თვითონ ლევან ბობოხიძემაც, მამის საფლავს ვფიცავარ, ციხეში რატომ ვიჯექი, არ ვიციო...

ჩვენ ვიცით, რომ ხონის მუნიციპალიტეტის ყოფილ გამგებელ ზურაბ ჯიბუხიას, გამგეობის თანამშრომელ ლევან ბობოხიძეს და გამგებლის მოადგილეს ბესარიონ ჭელიძეს ედავებოდნენ 204 კუბური მეტრი ხეტყის განკარგვას. ხე-ტყე სოციალურად დაუცველი ადამიანებისთვის იყო „განკუთვნილი“, რომელიც ხელმძღვანელმა პირებმა ერთ-ერთი სახერხი საამქროს მფლობელს ნიკოლოზ კირთაძეს გადასცეს. მეტიც, ორგანიზაცია „პოზიციის“ დირექტორი გურამ ადამაშვილი ამბობს, რომ ლევან ბობოხიძე ხონის მუნიციპალიტეტში საჯარო სექტორში დასაქმებული ადამიანებისგან ყოველთვიურად თანხას აგროვებდა, რომელსაც შემდეგ საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგავდა. ამიტომაც სამართლიანია ადამაშვილის შენიშვნა იმის შესახებ, რომ პრეზიდენტი თავისი გადაწყვეტილებებით მუდმივ წინააღმდეგობაშია ქართველი საზოგადოების დიდ ნაწილთან და სააკაშვილისადმი ლოიალობა უკვე ყოველგვარ ზღვარს სცილდება. **„მაშინ, როცა ნაციონალური მოძრაობის სისხლიანი რეჟიმის არაერთი მსხვერპლი ციხეებშია დღემდე გამომწყვდეული, თქვენ არ იშურებთ ენერგიას — მაქსიმალური თანადგომა გამოხატოთ იმ სისხლიანი რეჟიმის ავტორებისადმი, რომლებიც საზოგადოების დიდი ნაწილის თვალში დამნაშავეებად ითვლებიან... ლევან ბობოხიძე ისე შეიწყალეთ, რომ არც კი გაგიცნობიერებიათ ამ ძმები ბობოხიძეების და მათი კლანის ავადსახსენებელი მმართველობა ხონის რაიონში, იქ, სადაც ბობოხიძეებს სააკაშვილის პრეზიდენტობისას ყველა უკანონობა გასდიოდათ, აწიოკებული და დამონებული ჰყავდათ ხალხი“,** — მიმართავს გურამ ადამაშვილი გიორგი მარგველაშვილს...

ჩვენი პრეზიდენტის გარემოცვას თუ გადავხედავთ, იქ მართლაც ბლომად არიან ნაციონალებთან იდეოლოგიურად დაკავშირებული ადამიანები, ლიბერალები, რომლებიც შორს არიან „ოცნების“ მსოფლმხედველობისგან. ამდენად, პრეზიდენტის გადაწყვეტილებებიც ზუსტად იმის შესატყვისია, რაც მის მრჩეველთა ამქარს მოსწონს. **„იქნებ მეტად დაფიქრებულიყავით მსგავსი გადაწყვეტილებების მიღებისას? უფრო ადეკვატური იქნებოდა, ერთხელ მაინც გამოსულიყავით ავლაბრის რეზიდენციიდან, გასულიყავით ხალხში და მათი მოთხოვნის მიხედვით მიგეღოთ გადაწყვეტილებები. თუ იმის შიში გაქვთ, რომ სააკაშვილის აშენებულ სასახლეს, სადაც მყარად ხართ გამოკეტილი, ვინმე წაგართმევთ?!. მაოცებთ, ბატონო პრეზიდენტო“!** — მიმართავს ადამაშვილი მარგველაშვილს.

საზოგადოების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ პრეზიდენტი ხალხის აზრს არ ითვალისწინებს და არასამართლიანია, რომ გიორგი კვანტ...ალიანი, კვანტის დადების წინ დაბრმავდა და დაყრუვდა!

ბლაყვი, თვითონაა შესაწყალებელი!.. — მსგავს კომენტარებსაც უხვად წააწყდებით ინტერნეტსივრცეში.

ამას დაემატა გაბუტვა და ოლიმპიადაზე მიუსვლელობა. ეს ყველაფერი დამამცირებელია არა მხოლოდ თვითონ მარგველაშვილისთვის, არამედ საქართველოსთვის. ან ვინ ურჩია ასე შორიდან — ფეისბუქით მიელოცა ქვეყნისთვის ეს შესანიშნავი დღე საქართველოს ისტორიისა?! „მარგველაშვილმა ასე თუ გააგრძელა, მალე მიშა დაპატიჟებს ოდესაში, ასე რომ, ნუ დარდობთ! — ესეც საზოგადოების აზრის გამოძახილია...

თეა მოსია

ჩვენი პრეზიდენტი არის ჭეშმარიტად ნაციონალური პრეზიდენტი. მან შეიწყალა ერთ-ერთი მსჯავრდებული, ბატონი ბობოხიძე, რომელიც ჩვენმა პროკურატურამ დააკავა. მას მიესაჯა პატიმრობა, პრეზიდენტმა კი შეიწყალა. ძალიან კარგია, რომ ასეთი კეთილშობილი პრეზიდენტი გვყავს. იმედი მაქვს, რომ ის სააკაშვილს, ბაჩო ახალაიას, ვანო მერაბიშვილს და სხვა „კეთილ“ ადამიანებსაც შეიწყალებს.

ირაკლი ღარიბაშვილი.

◎ ოლიმპიადის ეძო

გიორგი მარგველაშვილმა ევროპის ოლიმპიური კომიტეტების პრეზიდენტი დააჯილდოვა

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ევროპის ოლიმპიური კომიტეტების პრეზიდენტი პატრიკ ჯოზეფ ჰიკი „ოქროს საწმისის ორდენით“ დააჯილდოვა.

შეხვედრაზე მხარეებმა საქართველოში მიმდინარე ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის — „თბილისი 2015“-ის მნიშვნელობაზე ისაუბრეს. გიორგი მარგველაშვილმა პატრიკ ჯოზეფ ჰიკს ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის თბილისში ჩატარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის მადლობა გადაუხადა. სწორედ ფესტივალის თბილისში ჩატარებაში, ქართული სპორტისა და ოლიმპიური მოძრაობის განვითარებასა, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საერთაშორისო ოლიმპიურ ოჯახში ინტეგრირებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის დააჯილდოვა გიორგი მარგველაშვილმა პატრიკ ჰიკი.

დაჯილდოების ცერემონია საქართველოს პრეზიდენტის სასახლეში გაიმართა.

რატომ არ დაესწრო პრეზიდენტი ოლიმპიადის გახსნას?

პრეზიდენტი და პრემიერი ორივე მაღალი რანგის სტუმარია და, შესაბამისად, ერთი და იმავე სახის მოწვევა ჰქონდათ გაგზავნილი. ამის შესახებ ევროპის ოლიმპიური ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ალექსი ახვლედიანმა ჟურნალისტებს განუცხადა.

რაც შეეხება „თბილისი 2015“-ის გახსნის ცერმონიაზე სიტყვით გამოსვლებს, ახვლედიანის თქმით, საერთაშორისოდ წარდგენილი წესია, რომ სიტყვით მხოლოდ ორი ადამიანი — საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე და ევროპის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი გამოდის.

ამასთან, როგორც ახვლედიანმა ჟურნალისტებს განუცხადა, მას არა აქვს ინფორმაცია, თუ რატომ ვერ დაესწრო პრეზიდენტი ღონისძიებას.

„საქართველოს პრეზიდენტი იყო მოწვეული ღონისძიებაზე. პრეზიდენტის პროტოკოლის სამსახურის უფროსს კარლო ცქიტიშვილს მჭიდრო კავშირი ჰქონდა საორგანიზაციო სამსახურთან. ჩვენ დეტალურად მივაწოდეთ მას გახსნის შესახებ ინფორმაცია. პირადად მას ვთხოვე, რომ, თუ მოიცლიდა პრეზიდენტი და გამონახავდა დროს, შევხვედროდი და დეტალურად პირადად ამეხსნა ყველაფერი. რატომ არ ესწრებოდა ღონისძიებას, ვერ გეტყვით, რადგან ეს ჩემთვის უცნობია“, — განაცხადა ახვლედიანმა.

რა თანხა გაიხარჯა ოლიმპიური ფესტივალის ინფრასტრუქტურის მოწყობისათვის

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) ოლიმპიური ფესტივალის ინფრასტრუქტურის მოწყობისათვის თბილისის ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაციას აქვეყნებს. „2012-2015 წლების ქალაქ თბილისის ბიუჯეტში ოლიმპიური ფესტივალის მოსამზადებელი ღონისძიებებისათვის სულ გეგმით გათვალისწინებული იყო 93 245 484 ლარი. 2015 წელს ოლიმპიური ფესტივალის ინფრასტრუქტურის მოწყობისათვის ქალაქის ბიუჯეტის გეგმით გათვალისწინებული იყო 44 817 374 ლარი, საიდანაც 26 მარტის მდგომარეობით, ათვისებული იყო 30 847 881 ლარი“, — ნათქვამია IDFI-ის სტატიაში.

ინტერპრესი

ელექტრომაფია და სამთავრობო ლობი ხალხს ერთობლივად აღატაკებენ!

გვესაუბრება ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში დემურ გიორხელიძე

— ბატონო დემურ, სემეკის გადაწყვეტილებით, 1 აგვისტოდან რეგიონებში ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფი 3, 95 თეთრით გაძვირდება. გვახსოვს ელექტროენერგიის ტარიფის თემაზე თქვენი საკმაოდ კრიტიკული მოსაზრებები. სემეკმა ელექტროენერგიის საფასურის გაძვირება დოლარის კურსის ზრდით ახსნა და ასევე დასძინა, ამის გაკეთება აუცილებელი იყო იმისათვის რომ, ელექტროენერგიის შეუფერხებელი მიწოდება უზრუნველეყო. თქვენ ამგვარ ზრდას როგორ შეაფასებდით?

— ენერგეტიკაში სემეკის მიერ სიცრუეზე აგებულ არგუმენტებზე მე დიდი ხანია ვსაუბრობ. სემეკი ასრულებს დავალებას — ახლა არ დამიწყოს ვინმემ მტკიცება, რომ სემეკი დამოუკიდებელია და თავად იღებს გადაწყვეტილებებს. ენერგომაფიას მთავრობასა და ხელისუფლებაში სერიოზული ლობი ჰყავს და ტარიფებიც ზრდაც მათი ინტერესების შესაბამისად იზრდება! ტარიფების ზრდა კიდევ უფრო დაარტყამს ეკონომიკას, შეზღუდავს მცირე და საშუალო ბიზნესს და ეს სულ მალე, წლის ბოლომდე აუცილებლად გამოჩნდება.

...ის შავბნელი პერიოდი, რომელიც ენერგეტიკაში შევარდნაძის დროს დაიწყო, კვლავ გრძელდება, რადგან ენერგოსფეროში მაშინდელი ყველა მოთამაშე კვლავ სერიოზულ პოზიციებს ინარჩუნებს. მათ კარგად იციან, თუ როგორ უნდა ძარცვონ საკუთარი მოსახლეობა. ამ სიტუაციაში სემეკი უსუსურად გამოიყურება და ვფიქრობ, რომ იგი სულ უფრო ემსგავსება წურბელა ორგანიზაციას.

— რა გაძლევთ იმის თქმის საფუძველს, რომ ქვეყანაში შევარდნაძის დროინდელი ენერგომაფია პოზიციებს კვლავ ინარჩუნებს?

— ამის თქმის საფუძველს მაძლევს ენერგოტარიფები, ქვეყანის ენერგეტიკული პოლიტიკა, განცხადებები იმის შესახებ, რომ ეკონომიკა თითქოს იზრდება, ეკონომიკაში ელექტროენერგიის მოხმარება იზრდება და ჩვენ უნდა ვაშენოთ ჰესები და შემდეგ ეს ყველაფერი უნდა გავყიდოთ თურქეთში, თითქოს ეს მაღალტექნოლოგიური ნაწარმი იყოს და ჩვენი რესურსებით ვემსახუროთ თურქეთის ეკონომიკას.

თბილისი ძალიან პატარა ქალაქია, ყველას ყველაფერზე აქვს ინფორმაცია. ტარიფების მომატების არავითარი საჭიროება არ არსებობდა. თუ რომელიმე კომპანია ვერ უვლის თავის საქმეს, გაკოტრებულია და როგორც სემეკის თავმჯდომარემ თქვა, ეს იმას ნიშნავს, რომ კომპანიამ არ იცის შექმნილ ვითარებაში როგორ უნდა იმოქმედოს, შეიძლება გაკოტრდეს და მას ახალი მფლობელები დაეპატრონონ. რამდენ პრივილეგირებულ ენერგოჯგუფს საკუთარ ბიზნესში პრობლემა გაუჩნდება, იმდენჯერ მთავრობა ტარიფების ზრდაზე მიდიოდეს, აი, სწორედ ეს არის ენერგომაფია, რომელსაც ხელისუფლებაზე სერიოზული გავლენა აქვს.

— მას შემდეგ რაც სემეკმა თავის გადაწყვეტილება გააკეთა, ხელისუფლებამ სოციალურად დაუცველებისათვის ელექტროენერგიის მომატებული გადასახადის სუბსიდირების რამდენიმე სქემაზე დაიწყო საუბარი. თქვენი აზრით, სოციალურად დაუცველთათვის ელექტროენერგიის გადასახადის რა ფორმა იქნებოდა ყველაზე ოპტიმალური?

— ამის თაობაზე მე ჯერ კიდევ ორწელიწადნახევრის წინათ ვწერდი, როდესაც ახლად მოსული ხელისუფლება 2013 წლის იანვარ-თებერვალში აპირებდა ტარიფების გაზრდას, როცა არაერთმა მაღალჩინოსანმა არაერთი სულელური განცხადება გააკეთა, — რომ მათ არჩევნების წინ დათვლა შეეშალათ, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. მაშინაც და შემდეგაც ამ სფეროში რეფორმა უნდა გაკეთებულიყო ტარიფების მიუხედავად. უნდა არსებობდეს ერთიანი ტარიფი, მაგალითად, 12 თეთრი და მაშინ სოციალურად დაუცველებს შეიძლება გაეწიოთ სოციალური დახმარება, მაგრამ მოსახლეობის ეს ჯგუფი მკაცრად იდენტიფიცირებული უნდა იყოს. და არა ისე, როგორც ახლა გეგმავენ სუბსიდიებით პოპულისტურად მოქმედებას.

— ენერგეტიკა და ქვეყნის ენერგოუსაფრთხოება ნებისმიერი სახელმწიფოსა და ქვეყნის ეკონომიკის გამართული ფუნქციონირების საფუძველია. წინა ხელისუფლებას დღევანდელი მმართველი გუნდი რუსული კომპანიებისათვის ჰესების მიყიდვას ედავებოდა. საქმეში ჩახედული ხალხის მტკიცებით, ამ თვალსაზრისით არაფერი შეცვლილა, მეტიც — ხშირ შემთხვევაში საერთოდ გაუგებარია, ვინ აშენებს ჰესებს საქართველოში...

— მე მაინტერესებს ზოგადი მდგომარეობა და არა ცალკეული ადამიანის ქმედება. რა თქმა უნდა, ეს ინფორმაცია უცნობი ვერ იქნება, დაახლოებით ცნობილია ჰესების მშენებლები. უფრო დაზუსტებით ამ ინფორმაციის საჯარო რეესტრში მოძიება შეიძლება, ჩვენთვის მთავარია, ენერგეტიკული პოლიტიკა ეკონომიკურ პოლიტიკაზე იყოს მიბმული. როცა ეკონომიკური პოლიტიკა განსაზღვრული არაა, ცალკე ენერგეტიკაზე საუბარი უაზრობაა — იმიტომ, რომ ენერგეტიკის განვითარება არ შეიძლება ეკონომიკის განვითარების ტემპზე უფრო სწრაფი იყოს. დღეს გამომუშავებული ელექტროენერგიის 80%-ს მოიხმარს მოსახლეობა, ხოლო ეკონომიკა მოიხმარს მხოლოდ 20%-ს. ეკონომიკის რომელ ზრდაზეა საუბარი? დეინდუსტრიალიზებული და განადგურებული ეკონომიკა ისეთი პროპორციით იყენებს ელექტროენერგიას, რომლის მსგავსი პროპორცია მსოფლიოში არ არის, მათ შორის არც აფრიკის ქვეყნებში.

— ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდიდან ყველამ ვიცოდით, რომ საქართველოში მთის მდინარეების სიმრავლის გამო მცირე, დიდი და საშუალო ზომის უამრავი ჰესის მშენებლობა იყო შესაძლებელი და საქართველოს შეეძლო იმაზე გაცილებით მეტი ელექტროენერგიის გაყიდვა, ვიდრე მოიხმარდა. საბჭოთა წარსული კარგა ხანია ისტორიას ჩაბარდა, მაგრამ გაუგებარია, ქართველი ბიზნესმენები რატომ არ ჰკიდებენ ხელს ჰესების მშენებლობას? არავის არ ვერჩი, მაგრამ გაუგებარია ჩვენთან ჰესები მარტო ჩინელებმა, რუსებმა, ან სხვამ რატომ უნდა ააშენოს...

— საქმე ისაა, რომ ენერგეტიკა, როგორც იტყვიან, „ტორდადებული“ სფეროა. იმ ქვეყანაში, სადაც კვაზი საბაზრო ეკონომიკაა, იქ სადაც ხელისუფლებაში ყოფნა ბიზნესების გადალაგებისა და ბიზნესში საკუთარი ინტერესების დალაგების უნიკალური საშუალებაა, სადაც პოლიტიკაა საუკეთესო ბიზნესი, იქ თავისუფალი მეწარმეობა ვერ განვითარდება და არც ვითარდება. ჩვენთან თავისუფალ მეწარმეს რომელიმე სფეროში შესვლა იოლად არ შეუძლია. ის მიზეზები, რის გამოც ქვეყანა ასეა, ძალიან ფუნდამენტური პრობლემებითაა გამოწვეული. მათ შორის არის მართვის სფეროში არსებული პრობლემები.

— ამას წინათ კონკურენციის სააგენტომ 5 მსხვილი ნავთობიმპორტიორი კომპანია სერიოზული თანხებით დააჯარიმა. შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფლებამ პირველი ნაბიჯები გადადგა იმისათვის, რომ ბაზარი არავის მხრიდან არ იყოს მონოპოლიზებული. საუბარია იმაზე, რომ კვლევის ანალოგიურ ანგარიშს კონკურენციის სააგენტო სხვა სფეროებში არსებულ ვითარებაზეც გამოაქვეყნებს. არჩევნებამდე „ქართული ოცნება“ მონოპოლიების წინააღმდეგ საკმაოდ ოპტიმისტურ განცხადებებს აკეთებდა. თქვენი აზრით, რამდენად წარმატებულია ხელისუფლების ბრძოლა მონოპოლიების წინააღმდეგ — თუ ენერგეტიკაში არა, სხვა სფეროებში მაინც?

— თამაშის წესებს ან აწესებ მთლიანობაში — ეკონომიკაში, პოლიტიკაში, ყოველდღიურ ცხოვრებაში, ან თამაშის წესები შერჩევითია და გვაქვს ის სიტუაცია, რაც ქვეყანაშია. მონოპოლიებისა და ოლიგოპოლიური ჯგუფების წინააღმდეგ ბრძოლის შედეგი ჯერჯერობით ნულოვანია. ერთადერი დადებითი გამოვლენა არის მიძინებული კონკურენციის სააგენტოს დასკვნა კარტელური გარიგებების შესახებ ნავთობის რეალიზატორთა სფეროში.

საქმე ისაა, რომ ეს პროცესი ჯერ დასრულებული არ არის. რამდენად წარმატებით დასრულდება იგი, ამაზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. ახლა მთავრობა საკმაოდ რთულ ვითარებაშია, თუ მან სასამართლოში წააგო პროცესი, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ მას არ ჰყოფნის სერიოზული მონდომება და არა აქვს სერიოზული პოლიტიკური ნება იმისათვის, რომ ბიზნესს მიანიშნოს — მთავრობა არ ხუმრობს, ყველასთვის თამაშის ერთიანი წესები იქნება და აქ ოლიგოპოლიური ჯგუფები მთავრობასა და მოსახლეობას ვერ შესთავაზებენ იმ ფასებს, რომლითაც მათ მოსახლეობის ძარცვის საშუალება ექნებათ.

თუ ეს მოხდა, მთავრობა სწორად და საფუძვლიანად დადგა თავის პოზიციაზე და გააგრძელა ეს ხაზი, მაშინ ჩვენ უნდა მივხვდეთ იმას, რომ ამ თვალსაზრისით მთავრობას მართლაც სერიოზული რამ აქვს ჩაფიქრებული და ჩვენ ამას მხოლოდ უნდა მივესალმოთ. მოკლედ, ეს გადაწყვეტილება ბეწვზე ჰკიდია. როგორც ვთქვი, ბევრი რამ იქნება დამოკიდებული იმაზე, მთავრობა სასამართლოში ამ პროცესს წააგებს თუ მოიგებს.

— მიუხედავად იმისა, რომ ზაფხულია, პოლიტიკურ პროცესს არ ეტყობა, რომ საზაფხულო არდადეგები კარგა ხანია დაწყებულია. საშინაო და საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი და აქტუალური თემა ბევრია, მაგრამ თქვენ რაზე გაამახვილებდით ყურადღებას?

— ყველაზე საშინელი რაც არის, ეს გახლავთ ჩვენი ე.წ. პოლიტიკოსების მხრიდან არასერიოზული შეფასებები და დემაგოგიური განცხადებები იმ მცოცავ ანექსიაზე, რომელსაც რუსეთი ახორციელებს და რომელიც ყველაზე საშიშია. ეს იმაზე უფრო საშიში პროცესია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. რაც ხდება, შეუსაბამო პოლიტიკაა, ვგულისხმობ იმას, რომ ჩვენ ჩვენს მეგობარ ქვეყნებთან ერთად არ ვმუშაობთ რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზებისთვის. საქართველოს უსაფრთხოება გამორიცხულია, თუ რუსეთიდან საფრთხე შენარჩუნებული იქნება. შესაძლოა, ეს საფრთხე ქართული სახელმწიფოსთვის მომაკვდინებელი საფრთხე იყოს, რადგან ძირითად მოთამაშეებს შორის შეუთანხმებლობა, უდიდესი კონკურენცია და გეოსტრატეგიული პარადიგმების დაპირისპირებას უკავშირდება.

ამ თემაზე, ჰარი-ჰარალე, კომკავშირული განცხადებები, რასაც ჩვენ ჩვენივე ვაიპოლიტიკოსებისგან ვისმენთ, ქვეყანას გაცილებით უფრო დიდი საშიშროებისაკენ მიაქანებს. ყოველი გადმოწეული მეტრი ძალიან მძიმედ დასაბრუნებელი იქნება და დღეის მდგომარეობით საქართველოს არანაირი შანსი არა აქვს. თუ მომავალში გაჩნდება და ასეთი პოლიტიკა იქნა, მაშინ ფასიც არანორმალურად დიდი იქნება გადასახდელი, რომელიც საერთოდ შეზღუდავს ქართული პოლიტიკის თავისუფლების ხარისხს.

ესაუბრა
კობა გენდელიანი

◎ კაკალ გულში

წერილოჯანი ფრაზები

● **საინტერესოა, პირველად ვინ თქვა შეწყალების კომისიის თავმჯდომარედ ზვიად ქორიძე დავნიშნოთო (ფეხბურთის საპრეტესტო, თუ რაღაც მაგდაგვარი კომისიის წევრად ვინ დანიშნა, იმას აღარ ვკითხულობ). და, საერთოდ მაინტერესებს, პირველი ვინ ამბობს ხოლმე, მაგალითად, ბურჭულაძეზე, ან ბულაძეზე რომ მწერლები არიან, წკრიალაშვილზე, რომ მომღერალია და თანაც ვარსკვლავი...**

● **ამერიკაში ეშმაკის ძეგლს დგამენო, ატყდა ერთი ამბავი ფბ.-ზე. ამერიკელების მიმართ ჩემი დამოკიდებულება გეცოდინებათ, მაგრამ მართლმადიდებლურ რუსეთში ლენინის გვამი რომ დევს („დევს“ რბილად რომ ვთქვა) მთავარ მოედანზე, ამას არა უშავს?**

● **ალენ დელონის ზარმა გამაღვიძა, „ალუდა ქეთელაური“ დავამთავრე და ბაჩანა ახალაიას რომ მათ განსაზღვრონ, ვინ არის სოციალურად დაუცველი და პლუს პრემიებზე რამდენიმე მილიონის დახარჯვა,ასე თავდაუზოგავად რომ იმუშავებენ. ამ ქვეყანაში სოციალურად და ყველანაირად დაუცველი პოლიტიკოსების გარდა, მთელი მოსახლეობაა და ეს ტარიფის სხვაობა თავისი დაუმსახურებელი პრემიებიდან გადაიხადონ!!!**

● **პრეზიდენტმა ინდაურის ნაცვლად ბობოხიძე შეიწყალა, ინდაური ზოოპარკის დირექტორმა შეიწყალოსო!!!**

● **მსოფლიოს 7 საოცრებათა სიაში ცვლილებაა...**

სემირამიდას დაკიდებულ ბაღებს საქართველოს მთავრობისგან დაკიდებული მოსახლეობა ჩაანაცვლებს...

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

ეკონომიკა



ქართველი ფერმერები ახალ გამოწვევას ვერ უპასუხებენ

ავტომობილების ბიზნესის ჩავარდნის კვალდაკვალ, რომელიც აზერბაიჯანში ექსპორტის შეზღუდვამ გამოიწვია და საქართველოს ეკონომიკას 100 მილიონი დოლარი დაუკარგა, პრობლემები უკვე მესაქონლეებსაც შეექმნათ.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, წელს იანვარ-ივნისში მსხვილფეხა ცოცხალი საქონლის ექსპორტი საქართველოდან შარშანდელთან შედარებით, ორჯერ 10 მილიონ დოლარამდე შემცირდა. აღსანიშნავია, რომ ექსპორტში უდიდესი წილი – 80% - მეზობელ აზერბაიჯანს უჭირავს და კლებაც მთლიანად ამ ქვეყანაზე მოდის (2014 წლის პირველ ნახევარში მეზობელ ქვეყანაში თითქმის, 18 მილიონი დოლარის ცოცხალი პირუტყვი გადარეკეს, მაშინ როცა წელს ეს მაჩვენებელი 8 მილიონს ძლივს აღწევს).

როგორც ფერმერთა ასოციაციის ხელმძღვანელი ნინო ზამბახიძე აცხადებს, საქართველოდან საქონლის ექსპორტით, წლებია, ძირითადად, თავად აზერბაიჯანელები არიან დაკავებულნი. ისინი ურიგდებიან ქართველ ფერმერებს და საქონელი მეზობელ ქვეყანაში გადაჰყავთ, თუმცა, წლის დასაწყისიდან ეს ბაზარი არასტაბილური გახდა.

„თებერვალ-მარტში ჩაიკეტა, შემდეგ ოდნავ გამოცოცხლდა, ივნისში კი მყიდველები კვლავ აღარ გამოჩნდნენ. ფერმერები, რომლებიც საქონელს ყიდდნენ, საშინელ დღეში ჩავარდნენ – უამრავი ცოცხალი საქონელი დაუგროვდათ, რომლის შესანახად დამატებითი ხარჯების გაღება სჭირდებათ. მათ ზარალს ზარალი ემატება“, – აღნიშნა ზამბახიძემ.

აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანში ძროხის ხორცი წლების განმავლობაში სტაბილურად ძვირი იყო – კილოგრამის ფასი 10-12 დოლარს აღწევდა, შესაბამისად, ქართული საქონელიც მზარდი მოთხოვნით სარგებლობდა. თუ 2008 წელს ოფიციალურად საბაჟოზე 585 ათასი დოლარის ღირებულების მსხვილფეხა პირუტყვის ექსპორტი აღინუსხა, მომდევნო წელს ერთბაშად, 17 მილიონ დოლარამდე გაიზარდა, ხოლო რეკორდულ მაჩვენებელს – 47,6 მილიონ დოლარს – 2013 წელს მიაღწია.

ნინო ზამბახიძის ინფორმაციით, ქართული პროდუქციისადმი ინტერესი იაფფასიანმა უკრაინულმა იმპორტმა გაანელა.

„საომარი ვითარებისა და ეკონომიკური კრიზისის გამო, როგორც ვიცი, მსხვილფეხა პირუტყვი უკრაინაში ძალიან გაიაფდა. ბევრი ფერმა საერთოდ კონფლიქტისა და მიმდებარე ზონებში მოხვდა, შესაბამისად, მეწარმეებმა ბიზნესის თავიდან მოშორება გადაწყვიტეს. როგორც ვიცი, ცოცხალი წონა აზერბაიჯანში ჩაყვანით, 2,5 დოლარი ჯდება, მაშინ, როცა საქართველოში, ადგილზევე ერთი კილოგრამი 5,5 ლარსაც აღწევდა“, – განაცხადა ზამბახიძემ.

რატომ ვერ უწევს კონკურენციას აზერბაიჯანში ქართული საქონელი უკრაინულს?

აზერბაიჯანული წყაროების მიხედვით, საქონლის ხორცის ფასები ბაქოში თებერვალში ერთბაშად 15%-ით შემცირდა. გაზრდილი იმპორტის გარდა, მიზეზად შარშანდელი გვალვა სახელდება, რომელმაც ადგილობრივი წარმოება (ისევე როგორც ქართული), მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. საკვები კატასტროფულად გაძვირდა, ერთი საქონლის შენახვის ხარჯები აზერბაიჯანელ ფერმერებს 200 მანათით (400 ლარზე მეტი) გაეზარდათ. შესაბამისად, ურჩევნიათ, საქონელი თავიდან იაფად მოიშორონ. ამასთანავე, ეროვნული ვალუტის დევალვაციის გამო მოსახლეობის მსყიდველუნარიანობა შედარებით შემცირდა.

არადა, მეზობელი ქვეყანა, რომლის მოსახლეობა 9,7 მილიონს აჭარბებს, ქართული პროდუქციისთვის მართლაც კარგი გასაღების ბაზარი იყო.

ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაციით, აზერბაიჯანში 2013 წელს ხორცის საშუალო მოხმარებამ ერთ სულ მოსახლეზე 33,2 კგ შეადგინა. როგორც გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის ექსპერტი გიორგი ხატიაშვილი აცხადებს, აზერბაიჯანი გამუდმებით საჭიროებს საქონლის იმპორტს, რადგან მისი მიწების დიდი ნაწილი დამლაშებულია და არც საკმარისი საძოვრები აქვს.

„მათ გადაწყვიტეს, ორიენტაცია მერძევული მიმართულების განვითარებაზე აიღონ, რადგან უფრო მომგებიანად მიიჩნევენ“, – აღნიშნა ხატიაშვილმა ბპნთან საუბრისას.

ის, რომ საკვები ბაზა საკმარისი არ არის, ამას აზერბაიჯანის სოფლის მეურნეობის სამინისტროშიც აცხადებენ. სამინისტროს წარმომადგენლის ჩინგიზ ფარადაევის თქმით, მესაქონლეობა ქვეყანაში ექსტენსიურად ვითარდება, 2013 წლისთვის მსხვილფეხა პირუტყვის სულადობამ 2,7 მილიონს მიაღწია, ამ რაოდენობის შენახვა კი ქვეყნას არ შეუძლია, შესაბამისად, უპრიანი იქნება პროდუქტიულობის ზრდაზე იფიქრონ.

„იმ პირობით, რომ წელიწადში 2500-3000 კგ რძე მივიღოთ, საჭიროა, რომ მათი რაოდენობა 1,8 მილიონამდე შევამციროთ“, – მიიჩნევდა ფარადაევი.

აღსანიშნავია, რომ უკრაინა საქონელზე დაბალი ფასის გამო აზერბაიჯანის ინტერესის არეალში ჯერ კიდევ 2013 წელს მოხვდა. უკრაინის სახელმწიფო სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2013 წელს პირუტყვის ექსპორტი 2012 წელთან შედარებით 4,5-ჯერ გაიზარდა და 10,5 სულს მიაღწია, აქედან, 78% აზერბაიჯანში გაიყიდა (18%-ყაზახეთში, ხოლო 5% – უზბეკეთში).

დარგის განვითარებისა და ექსპორტის წასახალისებლად 2013 წელს უკრაინის უმაღლესმა რადამ გადაწყვიტა, საბაჟო გადასახადი ექსპორტზე 25%-იდან 5%-მდე შეემცირებინა.

აზერბაიჯანულ ბაზარზე არსებულ გამოწვევებს, როგორც ჩანს, ქართველი ფერმერები ფეხს ჯერ ვერ უწყობენ. საქონელზე ფასი მათ მინიმალურად შეამცირეს.

„საქონლის ცოცხალი წონის ფასი საქართველოში 4,5 ლარია. ფერმებში იმედოვნებენ, რომ ვითარება შეიცვლება და საქონელს არ ამცირებენ, შესაბამისად, ხორცი არც ადგილობრივ ბაზარზე გამოაქვთ“, – აცხადებს ნინო ზამბახიძე.

მისი თქმით, ეს ბიზნესი, ყველაზე რენტაბელური მაშინ არის, როცა საქონელი ცოცხალი წონით იყიდება, თუმცა, ისიც აღნიშნა, რომ მეხორცული მიმართულება საკმაოდ მომგებიანია.

„ძირითადად, გაზაფხულზე ყიდულობენ ორი-სამი თვის ხბოებს, რომლებიც დაახლოებით 400-500 ლარი ღირს, შემდეგ მთაში აგზავნიან საძოვრებზე, სამი-ოთხი თვის განმავლობაში ზრდიან, სადაც 200 კგ-მდე იმატებს და 900-1000 ლარად ყიდიან. ცხადია, იქ საძოვრისა და მუშის ხარჯიც შედის, მაგრამ მაინც კარგი მოგება რჩება, პრაქტიკულად, ერთი ერთში ამოდის“, – აღნიშნავს ფერმერთა ასოციაციის ხელმძღვანელი.

ბელა ნოზაძე

ალიან-ჩალიანი

ჩემთვის რუსეთის სამხედრო დოქტრინაზე საინტერესოა, რა დოკუმენტს მიიღებს ნატო დეკემბრის მინისტერიალზე

ამის შესახებ თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა ჟურნალისტებს რუსეთის საზღვაო დოქტრინის საკითხზე კომენტირებისას განუცხადა. მისივე განმარტებით, დოქტრინას დეტალურად ჯერ არ გაცნობია, თუმცა, მისთვის გასაგებია, რომ რუსეთი არ აპირებს მეგობრობას.

„ ნებისმიერი დოკუმენტი, რომელსაც დღეს ვხედავთ და რომელიც, სამწუხაროდ, სავარაუდოდ, შემდეგი 10 წლის განმავლობაში გამოვა კრემლიდან, და მე არ მაქვს რუსეთთან დაკავშირებით ოპტიმისიტური პროგნოზი, ყველა დოკუმენტი, რომელიც გამოვა კრემლიდან, იქნება მსგავსი შინაარსის, ზოგიერთ ზღვაზე არგაფართოების არდაშვების, ზოგი კი ჰაერში გაფართოების არ დაშვების შესახებ. მათი პოზიცია გასაგებია, მაგრამ ჩემთვის, როგორც საქართველოს თავდაცვის მინისტრისთვის, გაცილებით საინტერესოა, დეკემბრის მინისტერიალზე რა დოკუმენტს მიიღებს ნატო. ეს არის პასუხი ჩვენს გამოწვევებზე და არა ის, რა გადაწყვეტილებებს იღებს რუსეთი“, – განაცხადა თინა ხიდაშელმა.

თავდაცვის მინისტრის განმარტებით, რუსეთის მოქმედებები დღესდღეობით უკვე „ძალიან მარტივად გათვლადი, განჭვრეტადი და პროგნოზირებადია“.

ჩინოვნიკებო, დაემშვიდობეთ საჩუქრებს!

საჯარო მოსამსახურის მიერ საანგარიშო წლის განმავლობაში მიღებული საჩუქრების ჯამური ღირებულება 2 000 ლარს არ უნდა აღემატებოდეს, ხოლო ერთჯერადად მიღებული საჩუქრების ღირებულება –1 000 ლარს, – ასეთი შინაარსის დაზუსტება „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“კანონში შედის. აღნიშნული კანონპროექტი ერთ-ერთია იმ საკანონმდებლო პაკეტში, რომელიც საჯარო სამსახურის რეფორმირებას ისახავს მიზნად.

ჯერ კიდევ მოქმედი კანონის გათვალისწინებით, საჯარო მოსამსახურის მიერ საანგარიშო წლის განმავლობაში მიღებული საჩუქრების ჯამური ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს მისი თანამდებობრივი სარგოს წლიური ოდენობის 15%-ს, ხოლო ერთჯერადად მიღებული საჩუქრებისა – 5%-ს, თუ საჩუქრები ერთი წყაროდან არ არის მიღებული. კანონში დაგეგმილი ცვლილებით კი, შემზღუდველი პროცენტული მაჩვენებელი კონკრეტული თანხით იცვლება, რომელზეც უფრო მაღალი ღირებულების საჩუქრის მიღება საჯარო მოსამსახურეს ეკრძალება. პარლამენტში განსახილველად წარდგენილია „საჯარო სამსახურის შესახებ“ ახალი კანონპროექტი, რომელიც ცვლილებას 65 სხვადასხვა კანონში იწვევს. საკანონმდებლო პაკეტი პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო.

თბილისში 20-მდე მინისქვეშა გადასასვლელი დაასუფთავეს

დასუფთავების ღონისძიებაში ჩართულები შსს-ს სსიპ „112“-ის თანამშრომლები იყვნენ. სამუშაოები მთელი ღამის განმავლობაში შემდეგ მინისქვეშა გადასასვლელებში მიმდინარეობდა: გ. ლეონიძისა და გალაკტიონ ტაბიძის ქუჩების კვეთაზე; რუსთაველის გამზირზე – №1 გიმნაზიის, ოპერისა და მეცნიერებათა აკადემიის შენობების წინ; სასტუმრო „რადისონის“ წინ, კოსტავას ქუჩაზე - სასტუმრო „რუმსის“ წინ და ფილარმონიის მიმდებარედ; ჭავჭავაძის გამზირზე - უნივერსიტეტის №1 კორპუსისა და სახანძრო სამსახურის შენობების წინ, მე-9 საავადმყოფოს მიმდებარედ, გალაკტიონ ტაბიძის ძეგლთან და ვაკის პარკთან; ორბელიანის მოედანზე მდებარე მინისქვეშა გადასასვლელი; კ. გამსახურდიას გამზირზე - მაღაზია „ელექტრონიკასთან„ მდებარე მინისქვეშა გადასასვლელი; ვაჟა-ფშაველას გამზირისა და ქართველიშვილის ქუჩისა და ვაჟა-ფშაველას გამზირისა და ასათიანის ქუჩის კვეთაზე; გ. რობაქიძის გამზირზე - მაიაკოვსკის ძეგლთან და ვ. გორგასლის ქუჩაზე - ბალნეოლოგიური საავადმყოფოს მიმდებარედ არსებული მინისქვეშა გადასასვლელი.

შპს „უძრავი ქონება თბილისი„ დედაქალაქში 51 მინისქვეშა გადასასვლელის მოვლა-პატრონობას 2015 წლის იანვარიდან ახორციელებს.

ბიზნესოპერატორები დაჯარიმეს

სურსათის ეროვნული სააგენტოს თბილისის სამმართველოს სპეციალისტებმა დეზერტირების ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე, ე.წ. გვირაბში ხორცის სარეალიზაციო ობიექტების არაგეგმური ინსპექტირება განახორციელეს.

შემოწმებისას კრიტიკული შეუსაბამობები და ჰიგიენურ-სანიტარიული ნორმების დარღვევის ფაქტები გამოვლინდა. სურსათის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტებმა კანონით განსაზღვრული ღონისძიებები გაატარეს. „სურსათის, ცხოველის საკვების, უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის“ (68-ე მუხლის მესამე ნაწილის) თანახმად, 6 ბიზნესოპერატორი დაჯარიმდა და საწარმოო პროცესი შეუჩერდა. სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილის ირაკლი ჩავლეიშვილის განცხადებით, ბიზნესოპერატორებს მიეცათ შესაბამისი რეკომენდაციები, რომელთა შესრულების შემთხვევაში მათ სამუშაო პროცესი აღუდგებათ.

ბენეფიციარების დასვენებაზე ქუთაისის მერია ზრუნავს

ქუთაისის მერია განსაკუთრებული საჭიროების მქონე ადამიანების ურეკში დასვენებას უზრუნველყოფს. შავი ზღვის სანაპიროზე, კურორტულ სამკურნალო სარეაბილიტაციო მომსახურებას ქუთაისის მერიის სოციალურ საკითხთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახური ახორციელებს.

ურეკში მთელი ზაფხულის განმავლობაში ათ-ათი დღით 314 ბენეფიციარი დაისვენებს. ღონისძიებაში მონაწილე ბენეფიციარები არიან: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ცერებრალური დამბლით დაავადებული და მათი მომვლელები, ასევე სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი დედები და განსაკუთრებული საჭიროების მქონე სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრები. დასვენების კურსი სულ ოთხ ეტაპად განხორციელდება.

მინისძვრა კახეთში

საქართველოში მიწისძვრა მოხდა. მიწისძვრის ეპიცენტრი კახეთში იყო, თუმცა მიწისქვეშა ბიძგები თბილისშიც იგრძნობოდა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ სეისმური მონიტორინგის ცენტრში განუცხადეს, მიწისძვრა გუშინ 10:58 საათზე მოხდა.

ეპიცენტრი სიღნაღიდან სამხრეთ-დასავლეთით 30 კილომეტრში იყო. მიწისძვრის მაგნიტუდამ 4.1 შეადგინა.

ნინო ფიცხელაური

დაუსრულებელი გზა

როგორ სრულდება კანონი მთის შესახებ?

1

ალბათ, უპრიანია, თავიდანვე ითქვას, თუ რა იგულისხმება სათაურში. ერთი ის, რომ სოფელ კობაძეებთან, თელავი-გომბორის გზიდან აღმოსავლეთით გადახვევის შემდეგ, მაღალი გამავლობის მანქანებით (ჯიპებით) თითქმის ერთი საათი მოვანდომეთ მთის სოფლებამდე, პანტიან-სეროდანამდე ხუთკილომეტრიანი მონაკვეთის გავლას. უფრო კი მის დაძლევას. მეორეც, არაერთხელ შეკეთებული გზა კვლავაც დაუსრულებელია და ამის მიზეზებზე შემდგომ გვექნება საუბარი.

„გზას ვიტყვით, თორემ რა გზაა...“ — პოეტის ეს სტრიქონი, ეტყობა, ჩვენს ქვეყანაში მგზავრობისას, კიდევ კარგა ხანს შეგვახსენებს თავს. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ბოლო წლებში, საქართველოში, მდგომარეობის გამოსასწორებლად ბევრი რამ გაკეთდა და კეთდება. ამის ნათელ მაგალითად, თავად ერთ დროს მგზავრობისთვის გამოუსადეგარი თელავი-გომბორი-თბილისის გზის რეაბილიტაციაც ივარგებს.

თუმცა, დავუბრუნდეთ პანტიან-სეროდანს. აქ მოსახლეობა ამ ერთი საუკუნის წინათ, ხევსურეთიდან, ბაკურხევიდან ჩამოსახლდა. ორასორმოცდაათი ოჯახი — სათიბებით, ტყით, ჰაერით და წყლით გამორჩეულ ცივ-გომბორის კალთებზე ოთხ სოფლად დასახლდა. ახლა აქ, მხოლოდ ორი სოფელი და ოცი-ოდ მოსახლეა. მცხოვრებთა დიდი ნაწილი, თანდათან, თეთრწყლებსა და კობაძეებში, ანუ მთავარი გზის სიახლოვეს გადასახლდა.

ერთი სიტყვით, ხალხის მიგრაცია, ყველა დროში, უმეტესწილად, გზას უკავშირდებოდა. ასეა ახლაც და ასე იქნება მომავალშიც. და თუმცა თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენლობითი დელეგაციის სტუმრობა ამ ორ სოფელში მრავალ საკითხს უკავშირდებოდა, უპირველეს ყოვლისა კი მოსახლეობისთვის „მაღალმთიან რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის გაცნობას, უპირატესი სასაუბრო ყველგან მაინც გზა იყო.

პირველი შეჩერება შალვა არაბულის სახლთან მოგვიწია. კაცი მარტო ცხოვრობს. მისი შემოსავალი სათიბი და კიდევ სოკოს მოპოვებაა, რომელიც თელავის ბაზარში ჩააქვს გასაყიდად. მარტოხელა კაცს ხალხის დანახვაც გაუხარდა და მათ მიერ მიტანილი მოსაკითხიც — სოლიდური რაოდენობის სურსათ-სანოვაგე (იმ დღისით, პანტიან-სეროდანის კიდევ ორმა მარტოხელა მაცხოვრებელმა ბეგლარ რკინაულმა და სამძიმარ ქეთელაურმა მიიღო მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობისაგან ნობათი). ბუნებრივია, გზაც ახსენა დამხვდურმა: — თივა ბევრია, მაგრამ მისი გატანა-გასაღება ჭირსო.

სხვა გასაჭირიც არ დამალა შალვამ; ვერა და ვერ შევაგროვე თოფის ფული, არადა, მგელი ლამის სახლში შემომივარდესო.

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარე პაატა გოლეთიანი სათანადო ფინანსურ დახმარებას შეჰპირდა კაცს. თანაც დააყოლა: ერთი პირობით: შემდეგ ამოსვლაზე, ყველა წესით და კანონით გაფორმებული იარაღი უნდა დაგვახვედროო.

საუბარმა მცირე ხანს გასტანა, მაგრამ დროის ამ მონაკვეთშიც იგრძნობოდა, რომ კაცი მკვიდრად დგას თავის ადგილზე. მასპინძელმა თავიც მოიწონა: დენიც მაქვს და წყალიცო. როგორც შემდგომ გაირკვა, მოძველებული ქსელი, ხშირად გამოდის მწყობრიდან, სასმელი წყლის მოტანა კი შალვას ლამის კილომეტრიდან უწევს. მაგრამ საქმეც ის არის, რომ ხევსურები წუწუნს არ არიან ჩვეულნი. აქ „შენი თავი შენადვე კი გეყუდნის“, მაგრამ საჭირბოროტო საკითხების გადაჭრაც შენივე პასუხისმგებლობაა. ბარიდან დახმარების მოლოდინი, თუნდაც იგივე გზისა თუ უგზოობის გამო, მეტად საჭოჭმანო საქმეა. ბოლოს, დამშვიდობებისას, მასპინძელს ვკითხე, წვიმა ხომ არ ჩამოგდის— მეთქი; სახურავის თუნუქს აქა-იქ, ქარს რომ არ დაეძრა, რიყის ქვა ედო ზემოდან. შალვა მცირედ შეყოვნდა და რიხიანად მიპასუხა: დიდი წვიმისას ჩამომდის, მაგრამ ამხელა სახლში მშრალი ადგილის მოძებნა რა ბედენაა.

ჩემდა უნებურად, სკანდალს თუ აგრესიას გამოდევნებული ჩვენ ტელევიზიებისთვის მეტად დამახასიათებელი სიუჟეტი გამახსენდა; დაცურებული კრამიტის თუ წაქცეული ჭიგოს ფონზე, როგორ შესთხოვს მკერდგადაღეღილი გლეხი მთავრობას დახმარებას. თანაც, უარის შემთხვევაში საპროტესტო აქციებს „აანონსებს“!

ბეგლარ რკინაულთან შეხვედრის შემდეგ, ვერ ვიტყვით მრავალრიცხოვან, მაგრამ მეტად სასურველ, სამთაობიან ფიცხელაურების ოჯახს მივადექით. ოჯახის მთავარი საქმე მესაქონლეობაა. დიდ სამსახურს უწევთ მთაში შეუცვლელი „გაზ-66“.

ოჯახის და ორივე სოფლის სიამაყეა სეროდან-პანტიანის ერთადერთი მოსწავლე ნინო ფიცხელაური. ბეჯითი გოგო ფეხით, ცხენით თუ მანქანით ათი წლის მანძილზე ძლევდა რთულ გზას და ახლა კი უმაღლესში აბარებს. ახალგაზრდის სწავლა-განათლება ვის შეიძლება არ ახარებდეს, მაგრამ აძვე ჩნდება კითხვა — დაუბრუნდება კი ნინო მშობლიურ სოფელს? ამ კითხვაზე პასუხი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ კანონის მიღება-აღსრულებაზე.

ახალი კანონით გათვალისწინებულია, სახელმწიფოს მიერ მთის მოსახლეობისათვის მნიშვნელოვანი შეღავათების დაწესება, რაც გულისხმობს პენსიაზე დანამატს, მასწავლებელთა, ექიმთა და მთაში მომუშავე სხვა სპეციალისტთა ხელფასების ზრდას, ადგილობრივი მრეწველებისათვის გადასახადის შემცირებას ანდა სულაც გარკვეული დროით შეჩერებას, რაც, ბუნებრივია, ხელს შეუწყობს მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის, მთაში მობრუნება-დამაგრებას.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს საბჭოს გამსვლელი სხდომის დროს, რომელშიც ადგილობრივი მოსახლეობაც მონაწილეობდა, შეჯერდა გზის მოწესრიგების საკითხი. ამისთვის, წინასწარი გათვლებით, ექვსი ათასი ლარი და მძლავრი იაპონური ბულდოზერი „კამაცუა“ საჭირო. ერთიც და მეორეც აქვს მუნიციპალიტეტს და გზა, თუნდაც სეზონურად, გარკვეულ სტანდარტს მიუახლოვდება. თუმცა, დროა, და ალბათ, დაგვიანებულიც, მომავალ წელს, რომლის პრიორიტეტად მუნიციპალიტეტში გზების მშენებლობაა მიჩნეული, სერიოზულ საინჟინრო გადაწყვეტილება შემუშავდეს.

წლევანდელი წელი მუნიციპალიტეტში სასმელი წყლის და დასუფთავების წელია. ამ თვალსაზრისით პანტიან-სეროდანში არაფერია საგანგაშო. ზოგი ოჯახი (უფრო მრავალრიცხოვანი) ჭით სარგებლობს, ზოგიც ბუნებრივი წყაროთი. გარემოს სისუფთავეზეც თავად ზრუნავენ მოსახლენი.

რაც შეეხება თემის მთავარ სოფელ თეთრწყლებს, აქ მოსაგვარებელია სასმელი წყლის სისტემა და დრენაჟები. მეტ ყურადღებას ითხოვს გზისპირების მოწესრიგება და სისუფთავე.

2

ბუნებრივია, დავინტერესდით, თუ რა მდგომარეობაა მთლიანად მუნიციპალიტეტის სოფლებში წყლის მომარაგების, გზების მოწესრიგების და ზოგადად კეთილმოწყობის თვალსაზრისით. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა, რასაც ხელს უწყობდა ეკონომიკური ცხოვრების წინსვლა. ბოლო ორი წლის მანძილზე ყურძნის და ხილის რეალიზაციის შედეგად, მოსახლეობის შემოსავალმა 250 მილიონ ლარს გადააჭარბა. ამავე პერიოდში სოფლის პროგრამებით, საბიუჯეტო თანხებით, მუნიციპალური განვითარების ფონდებით და სახელმწიფო უწყებების დაფინანსებით, სოფლად მოწესრიგდა საუბნო გზების დიდი ნაწილი, რეაბილიტაცია ჩაუტარდა სასმელი წყლის სათაო ნაგებობებს და მილსადენებს, შეკეთდა სკოლებისა და საბავშო ბაღების შენობები. სოფლის მცხოვრებთ ვაუჩერების საშუალებით დახმარება გაეწიათ მიწის ნაკვეთების დამუშავებაში,.

მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტის სოფლებში კვლავ ბევრი საჭირბოროტო საკითხია მოსაგვარებელი. სასმელი წყლით უზრუნველყოფა კვლავ სერიოზულ პრობლემად რჩება ლაფანყურში, გულგულაში, ყარაჯალაში, ფშაველში. ყოველწლიურად გაწეული მნიშვნელოვანი დანახარჯების მიუხედავად, ამ სფეროში არსებული ვითარება მაინც არადამაკმაყოფილებელია, რაც არა მარტო წყლის სისტემების სიძველით, არამედ უხარისხოდ შესრულებული სამუშაოებითაც აიხსნება. აქვე უნდა ითქვას, რომ სოფლად სუსტია საზოგადოებრივი კონტროლი და ეს გარკვეულწილად განპირობებულია აქ სათათბირო სტრუქტურის არარსებობით. ამ ხარვეზის შესავსებად ერთი წლის წინათ, საკრებულოს გადაწყვეტილებით შეიქმნა საკონსულტაციო საბჭოები, რომლებშიც გაერთიანდნენ სოფლის ტერიტორიაზე არსებული წარმოება-დაწესებულებათა, არასამთავრობო და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საცხოვრებელი უბნების წარმომადგენლები. ის ადამიანები, რომლებსაც აქვთ სათანადო გამოცდილება და სურვილი, მოხალისის სტატუსით დაიცვან სოფლის ინტერესი. ამგვარი საბჭოების არსებობა განსაკუთრებით მისასალმებელი და საჭიროა ახლა, როცა მიმდინარეობს სოფლის მნიშვნელოვანი სახეცვლილება და ამის ერთ მნიშვნელოვან წახნაგად უნდა მივიჩნიოთ მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გამგეობის გადაწყვეტილება სოფლად სანიტარიული მდგომარეობის ძირეული გაუმჯობესების შესახებ.

მეტად მნიშვნელოვანი და მისასალმებელი სამუშაოები წარმოებს სოფლების დასუფთავების თვალსაზრისით. კერძოდ, იწმინდება ხევები და სოფლისპირები. სათანადოდ მოწყობილ ნაგავსაყრელზე იყალთოდან, რუისპირიდან, ვარდისუბნიდან და კურდღელაურიდან გატანილია 1300 ტონაზე მეტი ნარჩენი. მთავარი გზის პირას იდგმება ბუნკერები. ანალოგიური სამუშაოები გათვალისწინებულია წინანდლის და ნაფარეულის ზონებზეც. მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ მდგომარეობის შესანარჩუნებლად საჭიროა სათანადო ახსნა-განმარტებითი მუშაობა, კონტროლი და, რა თქმა უნდა, არსებული, გამკაცრებული სანქციების გამოყენება. თორემ, თუნდაც თელავის ხევის მაგალითზე, რომელიც წარსულში არაერთგზის გაიწმინდა და შემდგომ კვლავ ნაგვით ამოივსო, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ, სამწუხაროდ, საზოგადოებრივი თვითშეგნების იმედად ყოფნა, სულ მცირე, გულუბრყვილობაა.

ამის ერთი, ფრიად სამწუხარო მაგალითია სასაფლაოებზე არსებული ვითარებაც. ბევრი ჭირისუფალი ახლობლის საფლავს კი აცილებს დამჭკნარ ყვავილებს და მის შესაფუთ მასალას, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ მანქანის საბარგულში ჩადოს ყოველივე და თან გაიყოლოს სოფლად თუ ქალაქად მომრავლებულ ბუნკერში ჩასაყრელად, იქვე ახლოს, უკეთეს შემთხვევაში, სასაფლაოს კიდეზე, ყრის ყავლგასულ გვირგვინებს თუ კალათებს.

მიუტევებელია ისიც, რომ საგოდებელი, არცთუ იშვიათად ღრეობის და ტაშფანდურის ადგილად იქცევა, რომლის კვალად ნაგვიანდება გარემო. არსებული ვითარების გამოსასწორებლად, უნდა გაერთიანდეს ერი და ბერი (ეკლესიას ამ თვალსაზრისით მრევლზე ზემოქმედების დიდი საშუალება აქვს. მიცვალებულისთვის პატივის მიგება, ხომ სასაფლაოს სისუფთავეზე ზრუნვასაც გულისხმობს!), თორემ კაპიკის ფასი აქვს ჩვენს ნატოში თუ ევროკავშირში ლტოლვას და თუნდაც იქ „მოხვედრას“!

და ისევ პანტიან-სეროდანს რომ დავუბრუნდეთ. აქედან, ცივ-გომბორის კალთებიდან, ხელისგულივით მოჩანს ქართველი ერის დაუსრულებელი გზის მოწმე ალაზნის ველი და კავკასიონი. და იმედიც ხომ დაუსრულებელია. სახელმწიფოს და საზოგადოების ერთიანი ძალისხმევით, ალბათ, მოხერხდება ქვეყნის ისე მოწყობა, რომ მისი იერსახე სტუმარს ახარებდეს და მასპინძელს კი სიამაყით ავსებდეს!

ზურაბ არსენიშვილი,
„სრ“ საკ. კორ.
თელავი-თბილისი.

შალვა არაბული

სააკაშვილი მატყუარა, პოპულისტი და ცინიკოსი ნაძირალაა

რის საფუძველზე ამტკიცებს ამას უკრაინის რადას დეპუტატი, რომელიც მას სასამართლოში უჩივის?

მიხეილ სააკაშვილს სასამართლოში უჩივიან. მოსარჩელე უკრაინის უმაღლესი რადას დეპუტატი ბორის ფილატოვია, რომელიც ოდესის გუბერნატორს ფსიქოტროპული საშუალებების გამოყენებასა და პოლიტიკურ მაქინაციებში ადანაშაულებს. მოსარჩელე პატივისა და ღირსების შელახვისთვის სააკაშვილისგან კომპენსაციის სახით 1 გრივნას ითხოვს, რომელსაც მისივე თქმით, უკრაინაში ქართველი დევნილების ფონდში გადარიცხავს. კონფლიქტი სააკაშვილსა და ფილატოვს შორის რამდენიმე დღის წინათ ქალაქ ჩერნიგოვში დაიწყო, როდესაც სააკაშვილმა ფილატოვი ამომრჩევლის მოსყიდვაში დაადანაშაულა, თუმცა, როგორც წესი, ამის მტკიცებულება არ წარმოუდგენია.

რადას დეპუტატმა საგანგებო ბრიფინგზე აღნიშნა, რომ სააკაშვილი საქართველოში არ უყვართ და ამის მიზეზად ტელეკომპანია „იმედის“ დარბევა, პატიმრების წამება და დამამცირებელი მოპყრობა დაასახელა, რისი მსხვერპლიც მაშინდელი პრეზიდენტის იდეოლოგიური მოწინააღმდეგეები გახდნენ.

„სააკაშვილი მატყუარა, პოპულისტი და ცინიკოსი ნაძირალაა, რომელიც მისმა მოქალაქეებმა საკუთარი ქვეყნიდან გამოაპანღურეს. ის პასუხს აგებს ყველაფერზე. მე ყველას მოვუყვები, რატომ მოხდა ეს. ამის მიზეზი გახდა ტელეკომპანია „იმედის“ დარბევა, პატიმრების გაუპატიურება და მისწრაფება ფსიქოტროპულ ნივთიერებებზე, რომელიც გონებას აღაგზნებს. მე მივმართავ სასამართლოს და კომპენსაციის სახით, მისგან ვითხოვ ერთ გრივნას, რომელსაც უკრაინაში ქართველი დევნილების ფონდში გადავრიცხავ“, — აღნიშნა ბორის ფილატოვმა.

უკრაინის უმაღლესი რადას დეპუტატი არ არის ერთადერთი, რომელიც სააკაშვილის წინააღმდეგ გამოდის. სააკაშვილის განთავისუფლების მოთხოვნით ადგილობრივმა მოსახლეობამ საპროტესტო გამოსვლები გამართა და უკრაინის პრეზიდენტისგან დაუყოვნებლივ მოითხოვა ოდესის გუბერნატორის თანამდებობიდან სააკაშვილის გადაყენება. თავად პოროშენკო გადაწყვეტილების მიღებას არ ჩქარობს, თუმცა, ანალიტიკოსთა განცხადებით სააკაშვილს უახლოეს მომავალში მოუწევს ოდესის დატოვება.

ნაციონალური მოძრაობის წევრი გიორგი თევდორაძე აცხადებს, რომ ეს არის მიხეილ სააკაშვილის მმართველობის დასაწყისი და სჯერა, რომ **„სააკაშვილი მტკივნეულ, მაგრამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან რეფორმებს განახორციელებს უკრაინაში, როგორც თავის დროზე განახორციელა საქართველოში“.** რაც შეეხება დეპუტატ ფილატოვის ბრალდებას, თევდორაძე აცხადებს, რომ რუსულ „ფეესბე“-ს მეთოდები მოუძველდა.

„ეს ყველაფერი წყლის წვეთივით ჰგავს იმ ბრალდებებს, რაც საქართველოში გაისმოდა. ახლა მოუთმენლად ველოდები, როდის წამოვა ბრალდება იგივე მკერდის მოჭმის შესახებ. რაც შეეხება ბრალდებას ფსიქოტროპული ნივთიერების მოხმარების შესახებ, რაღაცა მის გაწონასწორებულ თუ გაუწონასწორებელ ფსიქიკასთან დაკავშირებით, მოუძველდა რუსულ ფეესბეს მეთოდები.

საქმე ის არ არის, ვის როგორი ფსიქიკა აქვს, ან რა პრეპარატებს იყენებს, არამედ რეფორმატორი და ცვლილებების მოსურნე ადამიანი დაჭაობებულ და ოლიგარქიულ სისტემაში აღქმულია როგორც უცხო სხეული. ამ ადამიანებს, მათდა სამწუხაროდ, უნდა გავუცრუო იმედი, ტყუილად ელოდებიან რაიმეს დასასრულს, ეს არის დასაწყისი, რომელიც დამთავრდება უკრაინისთვის ძალიან სასიკეთოდ და მავანისთვის კი ძალიან მტიკვნეულად“, — აცხადებს for.ge-სთან საუბრისას გიორგი თევდორაძე.

ამ ბრალდებების ავტორის შესახებ ინფორმაციას არ ვფლობ, თუმცა, არ გამოვრიცხავ მის როგორც სიმართლეს, ასევე სიცრუეს, ამბობს პოლიტოლოგი სოსო ცისკარიშვილი, რომლის განცხადებით, გამორიცხული არ არის, სააკაშვილს არცთუ შორეულ მომავალში მოუწიოს უკრაინის დატოვება.

„არ გამოვრიცხავ, სააკაშვილს არცთუ შორეულ მომავალში მოუწიოს, დატოვოს უკრაინა. ამიტომ, ვისაც სურს, დაიჯეროს უკრაინელი პარლამენტარის ბრალდების, ეს მათი უფლებაა. მე კი, თავს შევიკავებდი უფრო საფუძვლიანი კომენტარებისგან. უკვე, ნათელია გარკვეული რღვევა დღევანდელ უკრაინულ ხელისუფლებაში და არ გამოვრიცხავ, რომ ყოველივე ასეთი თავდასხმები სააკაშვილზე განპირობებული იყოს იმ ახალი მოძრაობით, რომელიც მოწადინებულია, შეცვალოს პოროშენკოს ხელისუფლება“, — ამბობს for.ge-სთან საუბრისას სოსო ცისკარიშვილი.

რაც შეეხება რადას დეპუტატის განცხადებას სააკაშვილის მიერ ფსიქოტროპული საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით, ექსპერტი გია ხუხაშვილი აცხადებს, რომ ეს არ ახალია, რადგან საქართველოშიც იყო ამაზე საუბარი. მისივე თქმით, სააკაშვილის არაადეკვატურობა და ეგზალტირებულობა ქმნის საფუძვლიან ეჭვს, რომ რაღაცა წესრიგში არ არის.

„ჩვენც ხშირად ვამჩნევდით მის არაადეკვატურ მდგომარეობას და მეც ვამჩევდი ამას, ძალიან ბევრი კადრები მაქვს ნანახი, მაგრამ ძალიან ძნელია ასე ხელაღებით და დაბეჯითებით საუბარი იმაზე, რომ ფსიქოტროპული მედიკამენტების ზემოქმედების ქვეშ იყო. ის, რასაც ამბობს ფილატოვი, რომ ის გააპანღურეს ქვეყნიდან, იმიტომ, რომ ბევრი დანაშაუალი ჰქონდა საქართველოში ჩადენილი, ეს აბსოლუტური ჭეშმარიტებაა, რაც ჩვენს საკუთარ ტყავზე გვაქვს გამოცდილი და ძნელია, შეეკამათო, მაგრამ სხვა საკითხია, რა ხდება რეალურად უკრაინაში და რა „მისია“ აქვს სააკაშვილს.

სააკაშვილმა ძალიან სარისკო თამაში წამოიწყო, უკრაინა ნამდვილად არ არის საქართველო, კორუფციის მასშტაბები და მაფიოზური კლანი იქ ბევრად უფრო მაღალია და ბევრად, უფრო მძლავრია. ეს სისტემა, რომ დაამსხვრიო, ცოტა გიჟი უნდა იყო და ასეთი გიჟია სააკაშვილი, რომელსაც შეუძლია ასეთი აგრესიული კანონდარღვევითი ქმედებებით, დაანგრიოს ყველაფერი. ნამდვილად, ნგრევა მას კარგად შეუძლია და ეს არის მისი ბუნებრივი მდგომარეობა“, — აღნიშნა for.ge-სთან საუბრისას გია ხუხაშვილმა.

თამთა ქარჩავა

◎ შემზარავი სტატისტიკა

ღმერთო, დაუბრუნე ქართველები საქართველოს!

ქართველი ემიგრანტების რაოდენობა 1 607 744 ადამიანს შეადგენს...

საზღვარგარეთ მცხოვრები ქართული დიასპორა ქართველ ემიგრანტთა არაოფიციალურ მონაცემებს აქვეყნებს:

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) მონაცემებით, 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოში 3 729,5 ათასი ადამიანი ცხოვრობს. ამ სტატისტიკით საქართველოს მოსახლეობამ, 2002 წელთან შედარებით, 14,7 %-ით იკლო.

საქართველოს მოსახლეობის კლებასთან დაკავშირებით საინტერესოა დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატიდან IDFI-ისთვის მოწოდებული არაოფიციალური სტატისტიკა საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეების შესახებ. სამწუხაროდ, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს დაზუსტებული მონაცემები არ ჰქონდა, ვინაიდან, საზღვარგარეთ ჩვენი თანამემამულეების დიდი ნაწილი არალეგალურად იმყოფება, შესაბამისად, ისინი არ არიან საკონსულო აღრიცხვაზე. ამასთან, საკმაოდ დიდია სხვადასხვა ქვეყნებში მათი გადაადგილების ინტენსივობა.

რაც შეეხება არაოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებს, როგორც ირკვევა, საზღვარგარეთ მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების რაოდენობა შეადგენს დაახლოებით 1 607 744 ადამიანს. აქედან ყველაზე მეტი თანამემამულე რუსეთის ფედერაციაში ცხოვრობს. მათი რაოდენობა 800 ათასს აღწევს, რომელთაგან 285 915 (2009წ.) რუსეთის ფედერაციის მოქალაქეა. მეორე ადგილზეა საბერძნეთი, სადაც ჩვენი 250 ათასი თანამემამულეა, თუმცა აქედან 100 000-მდე ეთნიკური ბერძენია. მას მოსდევს უკრაინა (150 ათასი). ჩვენი თანამემამულეების სიმრავლით ასევე გამოირჩევიან შემდეგი ქვეყნები: თურქეთი (100 ათასი), ამერიკის შეერთებული შტატები (80 ათასი), აზერბაიჯანი (35 000), ესპანეთი (30 ათასი), გერმანია (25 ათასი) და ა.შ.



მოწოდებული 43 ქვეყნის მონაცემებიდან დიასპორის სიმცირით გამოირჩევიან ავსტრალია (20), იაპონია (100), ყირგიზეთი (200), ლიტვა (300).

ლატვიაში, ესტონეთში, სლოვაკეთში, რუმინეთში, მოლდოვასა და ტაჯიკეთში თითოეულში ქართული დიასპორის დაახლოებით 500 ადამიანია.

დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ მოწოდებულ მონაცემებში ასევე აღნიშნულია ისტორიული დიასპორის წარმომადგენელთა რიცხვი თურქეთსა და ირანში. თურქეთში მათი რაოდენობა მილიონზე მეტია, ხოლო ირანში 35 ათასს აღწევს.

ამ სტატისტიკას, ამ შემზარავ ციფრებს განსაკუთრებული კომენტარი არ სჭირდება. იცლება საქართველო, ნადგურდება ქართული სოფელი, ქართველთა წუთისოფელი... გადამთიელი ეუფლება ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტ საქართველოს...

არადა, ჩვენს სამეზობლოში ყველა ერის რიცხოვნობა იზრდება!..

რა გვეშველება? — დედაეკლესიის, პატრიარქის გარდა ამ კითხვაზე რეალური პასუხი არავის არა აქვს.

გამოიღვიძე, ხელისუფლებავ! გამოიღვიძე გონიერო ქართველო!

ვახტანგ ქართველიშვილი

◎ პროგნოზი

3 აგვისტოს ჩათვლით, საქართველოში სიცხე და უნალექო ამინდი იქნება

გარემოს ეროვნული სააგენტოს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრის გრძელვადიანი პროგნოზების სამმართველოს უფროსის მოადგილემ ნინო წვერავამ განაცხადა, 28-29 ივლისს დასავლეთ საქართველოსა და აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონებში მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა ელჭექით. ამასთან, აღმოსავლეთ საქართველოში შესაძლოა, იყოს სეტყვაც.

28-29 ივლისის ღამისა და საღამოს საათებში თბილისში ასევე მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა ელჭექით. აღნიშნულ პერიოდში დასავლეთ საქართველში ჰაერის ტემპერატურა 35 გრადუსი იქნება, აღმოსავლეთ საქართველოში კი — 37 გრადუსი.

ოპერაცია „ტერმინალი“

როგორ მიმდინარეობდა პოტსდამის კონფერენცია

რედაქციისაგან

ჩვენი გაზეთის 25 ივლისის ნომერში დაიბეჭდა სტატია გაზეთიდან „არგუმენტი ი ფაქტი“ „დიდი სამეული“, რომელიც პოტსდამის კონფერენციის 70 წლისთავს ეძღვნება და რომელმაც ჩვენი მკითხველების მოწონებაც დაიმსახურა.

ამჯერად გთავაზობთ სტატიას „ლიტერატურნაია გაზეტადან“ იმავე თემაზე. ვფიქრობთ, იგი არის ბევრად უფრო ღრმა, მრავლის მომცველი და, ამავე დროს, უფრო ობიექტურიც.

ოფიციალურ დოკუმენტებსა და პრესაში მას „ბერლინისა“ ეწოდებოდა, მაგრამ რაიხის ყოფილ დედაქალაქში ომის შემდგომ არ აღმოჩნდა არც ერთი შენობა, რომელიც გამოდგებოდა მსოფლიოს სამი ყველაზე ძლევამოსილი ადამიანის შეხვედრისათვის. და უსაფრთხოების უზრუნველყოფაც უზარმაზარ ქალაქში იყო რთული: სარდაფები, ნანგრევები, სროლისათვის ვრცელი სივრცე, დიდი მოსახლეობა, აუფეთქებელი ბომბები და ჭურვები და ა.შ.

კონფერენციის პოლიტიკური მნიშვნელობის შესახებ დაწერილია ბევრი ტომი. მაგრამ იმის შესახებ, თუ როგორ მზადდებოდა იგი, მის „ყოფითს“ მხარეზე — ძალიან ცოტა რამ. ზოგიერთი ინფორმაცია, სხვათა შორის, 70 წლის შემდეგაც საიდუმლოებითაა მოცული.

რატომ პოტსდამი?

1945 წლის 26 მაისს მოსკოვში კიდევ ერთხელ ჩამოფრინდა ჰარი ჰოპკინსი, პრეზიდენტ რუზველტის ყოფილი მრჩველი, მაშინ კი — მისი მემკვიდრის ჰარი ტრუმენის სპეციალური წარმომადგენელი. სტალინთან საუბრებში დადგინდა კიდეც საბოლოოდ „დიდი სამეულის“ შეხვედრის ადგილი, რომელსაც უნდა განესაზღვრა ომისშემდგომი მსოფლიო წესრიგი. ეს იყო ცეცილიენჰოფის სასახლე პოტსდამის ახალ ბაღში — მემკვიდრე უფლისწულის ვილჰელმის ქალაქგარე რეზიდენცია, რომელიც დაბომბვისგან არ დაზარალებულა და აგებული იყო ინგლისური საბატონო სახლის სტილში „ფახვერკის“ ტექნოლოგიით პირველი მსოფლიო ომის დროს და რომელსაც მისი სათაყვანებელი მეუღლის ცეცილიას სახელი ეწოდა.

175 ოთახი, 12 მეტრის სიმაღლის საპარადო მისასვლელი, რამდენიმე შესასვლელი, ქვის კედელი, გარშემორტყმული პარკი, პირდაპირი ხეივნები, ორი ღრმა ტბა, რომლებიც თითქოს ეფარებოდნენ სასახლეს. სივრცისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით — თითქმის იდეალური იყო.

იყო კიდევ ერთი მოსაზრება. სასახლე იმყოფებოდა ბერლინის ამერიკული და ბრიტანული სექტორების გვერდით, სადაც უკვე ივნისის ბოლოს ლონდონის 1944 წლის (იალტაში დადასტურებული) შეთანხმებების შესაბამისად შევიდა მოკავშირეების ჯარები. ინტერესების ბალანსი, ასე რიგად, დაცულია. 20 წუთის სავალზე (ტრანსპორტით) იყო აეროპორტი „გატოვი“ (ასე ერქვა). ხუთ კილომეტრში — საბჭოთა საკორტეჟო (როგორც დღეს იტყოდნენ) დასახლება ახალი ბაბელბერგი ასორმოცდაათამდე ვილით, სადაც ოდესღაც გერმანულ კინოინდუსტრიის ბევრი მოღვაწე ცხოვრობდა. ამ ვილებში უნდა განთავსებულიყვნენ დელეგაციები.

ოპერაცია „ტერმინალი“ ივნისის პირველ რიცხვებში დაიწყო. „კერძო საცხოვრებელი ფონდის“ დარჩენილი მცხოვრებლები სასწრაფოდ გაასახლეს. ორკვირანახევრის განმავლობაში გაიყვანეს ექვსი კილომეტრის სიგრძის ახალი გზები, არსებულ 15 კილომეტრ გზას ჩაუტარდა რეკონსტრუქცია. მთლიანად განახლდა წყალმომარაგება, კანალიზაცია, ელექტრომეურნეობა. გადაჭიმეს პონტონის ხიდიც, რომელიც მოკავშირეებს უზრუნველყოფდა პირდაპირი გზით აეროპორტისკენ. დანგრეული ხიდის გლინკეს გვერდით, რომელიც პოტსდამს ბერლინთან აკავშირებდა, ააგეს დამხმარე — ამრიგად კონფერენციის მონაწილეებს არ უნდა ევლოთ ქალაქის დაბომბილი ცენტრის გავლით.

მოეწყო სამმაგი სანაღმო შემოწმება.

სამუშაოებისათვის იძულებითი წესით მოიზიდეს 1200 გერმანელი, მაგრამ მალე, საიდუმლოების გათვალისწინებით, ისინი შინსახკომის სამხედრო მოსამსახურეებით შეცვალეს.

დელეგაციებისათვის ცეცილიენჰოფში 36 ოთახი მოამზადეს. ნაწილში განათავსეს ავეჯი მეზობელი სასახლეებიდან, ზოგიერთში — ჩამორთმეული. ყველა ოთახში, სტალინის კაბინეტის გარდა, იყო მოსასმენი აპარატურა.

პრობლემა გახდა მაგიდა საერთო სხდომებისათვის. ასეთი ადგილზე არ აღმოჩნდა, და იგი სასწრაფოდ დაამზადეს მოსკოვის საავეჯო ფაბრიკა „ლუქსში“. დიამეტრი — დაახლოებით ექვსი მეტრი. შეიტანეს ფანჯრიდან...

მესანგრეები და მშენებლები დღე-ღამეში 14 საათს მუშაობდნენ.

ამერიკელმა ინსპექტორმა ფლოიდ პარკსმა უკვე 23 ივნისს საბჭოთა ადმინისტრაციის მუშაობა ფრიადზე შეაფასა. ცეცილიენჰოფის კონფერენციის ორგანიზებისა და უშიშროებისათვის პასუხისმგებელი იყო 38 წლის გენერალ-პოლკოვნიკი სერგეი კრუგლოვი.

როგორ მიდიოდნენ ისინი იქ

პრეზიდენტმა ტრუმენმა ოკეანეზე გადაფრენა ვერ გაბედა. 1945 წლის 7 ივლისს დილის ექვს საათზე ის მძიმე კრეისერ „აუგუსტის“ ბორტზე ავიდა, სწორედ იმაზე, რომელზეც 1941 წლის 9 აგვისტოს ჩერჩილმა და რუზველტმა გამოაცხადეს „ატლანტის ქარტია“, რომელიც შემდგომ „თავისუფლების მანიფესტი“ გახდა. მგზავრობის დროს წინ მძიმე კრეისერი „ფილადელფია“ მიდიოდა, რათა შეენელებინა ტალღის დარტყმა, ვინაიდან ტრუმენს რყევების გადატანა ძალიან უჭირდა. პრეზიდენტი ტკბებოდა საზღვაო მოგზაურობით. უკანასკნელად ევროპაში ის 1918 წელს იყო, წინა ომის დროს.

15 ივლისის დილით ის ჩავიდა ანტვერპენში, შემდეგ გადაჯდა თვითმფრინავ C-54-ზე, რომელსაც „წმინდა ძროხა“ უწოდეს, და მთელი სამი საათი საიდუმლო მარშრუტით მოფრინავდა ბერლინამდე. შემხვედრთა შორის



ასე გამოიყურება დღეს ცეცილიენჰოფის სასახლე, რომლის შესასვლელშიც გადაიღო სურათი სამმა ლიდერმა.

იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში სსრ კავშირის 35 წლის ელჩი ანდრეი გრომიკო.

ჩერჩილი თავის ცოლთან და ქალიშვილ მერისთან ერთად პარლამენტის არჩევნების შემდეგ საფრანგეთის ბისკაის სანაპიროზე ისვენებდა. შუა დღემდე ლოგინში გორაობდა და კითხულობდა, შემდეგ ხატავდა ნატურიდან. კონფერენციისათვის არ ემზადებოდა, ვინაიდან მიაჩნდა, რომ „ყველაფერი თავში აქვს“.15 ივლისს ის თავისი „სკამაისტერით“ ქალიშვილთან (მეზენიტე იყო) ერთად ბორტოდან „გატოვში“ გაფრინდა. ჩავიდა თითქმის ერთდროულად ტრუმენთან ერთად.

სტალინთან დაკავშირებით უფრო რთულად იყო საქმე. მოკავშირეები ამბობდნენ, რომ მან უარი განაცხადა თვითმფრინავით გაფრენაზე, ახსოვდა თეირანში გაფრენის საშინელება, როდესაც ირანის მთებში იყო შემზარავი რყევა. სხვა ცნობებით — ექიმებმა აუკრძალეს. თავად კი პრეზიდენტ ტრუმენს განუცხადა, რომ ის „დააყოვნა მოლაპარაკებამ ჩინელებთან“. თანაც ამ დროს ბოდიშს იხდიდა. ტრუმენიც ზრდილობიანად უქნევდა თავს...

მოგვიანებით ამერიკელებმა დაწერეს, რომ სწორედ სტალინმა შემოიღო „დიპლომატიური დაგვიანების“ სახელმწიფო ეტიკეტი, რათა ანერვიულოს პარტნიორები. ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო.

სტალინი სპეციალური მატარებლის დაჯავშნული სალონ-ვაგონით 15 ივლისს დილით გაემგზავრა. მატარებელი მიდიოდა კვლავ სპეციალური მარშრუტით და პოსტდამში 17 ივლისს ჩავიდა. მოძრაობის უსაფრთხოებას უზრუნველყოფდნენ შინსახკომის 17 ათასი სამხედრო მოსამსახურე და 1515 ოპერატიული თანამშრომელი. გზის ყოველ 1923 კილომეტრზე იდგა ექვსიდან 15-ამდე კაცი.

ვაგზალზე ბელადს შეხვდნენ გ.ჟუკოვი, ნ.კუზნეცოვი და ა.ვიშინსკი. ესკორტი ახალი ბაბელსბერკისაკენ სრულიად ცარიელი ქუჩებით: ყველა მცხოვრებს დახვრეტის შიშით აეკრძალა სახლიდან გამოსვლა და ფანჯრებთან მისვლაც კი; მარშრუტზე ფანჯრების დაახლოებით ნახევარი აჭედილი იყო.

სანამ სტალინი მიდიოდა

მოკავშირეებმა 16 ივლისს გადაწყვიტეს, დაეთვალიერებინათ დაცემული ბერლინი. ტრუმენი თანმხლებთან ერთად ჩაჯდა უზარმაზარ კაბრიოლეტ „კრეისლერში“, გზაში დაუმეგობრდა ჯარისკაცებს და მივიდა ქალაქის ცენტრში. იქ ჯერ ისევ იდგა ცხედრების, სიდამწვრისა და კანალიზაციის აუტანელი სუნი. ეს უკანასკნელი თითქმის მთლიანად დანგრეული იყო. ტრუმენი გააოცა ბავშვებიანი ქალების შეკრებამ, რომლებიც თავიანთი ბარგი-ბარხანით აქეთ-იქით მიდი-მოდიოდნენ. ეს ნერვებზე მოქმედებდა... ცხელოდა. ის უკან წავიდა, ჩრდილიან პოტსდამში. თუმცა, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ დაახლოებით ამ დროს ალამოგარდოში (ნიუ-მექსიკოს შტატი), აფეთქდა პირველი ატომური ბომბი. პრეზიდენტი შედეგს ელოდებოდა.

ჩერჩილმა თავისთან ექსკურსიაზე წაიყვანა ნდობით აღჭურვილი პირები: პირადი ექიმი ლორდი ჩარლზ მორანი და საგარეო საქმეთა სამინისტროს მუდმივი მდივანი სერი ალექსანდრ კადოგანი. როდესაც რაიხსტაგთან მივიდნენ, პრემიერი, დაცვის გაოგნებით, გამოვიდა მანქანიდან და ავიდა კიბეებზე, შეხედა წარწერებს კედლებზე და დაბრუნდა მანქანაში, რომელიც ნელა დაიძრა ყოფილი საიმპერიო კანცელარიის მიმართულებით. მას უკან გამოედევნენ რეპორტიორების ჯგუფი, ბრიტანელი და საბჭოთა ჯარისკაცები. როდესაც ჰიტლერის ბუნკერში ჩავიდა, ჩერჩილი ზუსტად ერთ წუთში გამოვიდა იქიდან. ეზოში საბჭოთა თანმხლებმა აჩვენა მას ლაქა და კანისტრა — ადგილი, სადაც დაწვეს ჰიტლერისა და ევა ბრაუნის ცხედრები. კადიოგანმა და მორანმა სამახსოვროდ აიღეს „რკინის ჯვრები“ (სავარაუდოდ თავად ფიურერისა).

უკვე პოტსდამში ექსკურსიის ყველა მონაწილემ — როგორც ამერიკელებმა, ისე ინგლისელებმა — მიიღეს აბაზანები დეზინფექციით.

სად ცხოვრობდნენ ისინი

1945 წლის 2 ივლისს ლავრენტი ბერიამ სტალინს და მოლოტოვს აცნობა, რომ საბჭოთა დელეგაციისთვის მომზადებულია 62 ვილა 10 ათასი კვადრატული მეტრის საერთო ფართობით. ამხანაგ სტალინისთვის — ორსართულიანი, 15 ოთახით, 400 კვადრატული მეტრით, ღია ვერანდით და მანსარდით (ვილა გამოჩენილმა არქიტექტორმა ალფრედ გრენანდერმა ააშენა უნივერმაღების მფლობელის პაულ ჰერპიხის ოჯახისთვის). ცალკე სახლის გარშემო იყო უზარმაზარი პარკი. სახლში მოწყობილი იყო შორეული კავშირგაბმულობის ცენტრი, მახლობლად ორი ასაფრენ-დასაჯდომი ზოლი.

მოლოტოვისთვის გათვალისწინებული იყო ორსართულიანი სახლი 11 ოთახით.

ობიექტების დაცვას ახორციელებდნენ შინსახკომის მე-7 პოლკი და 1500 ოპერატიული თანამშრომელი. უსაფრთხოებისათვის პასუხისმგებელი გენერალ-ლეიტენანტი ნიკოლაი ვლასიკი იყო.

სტალინის რეზიდენცია და ტრუმენის „პატარა თეთრი სახლი“ (თითქმის ასეთივე ფართობით, მანსარდით და ტერასით გრიბნიცის ტბაზე) იყო ერთ ქუჩაზე, რომელსაც 1938 წლიდან მოიერიშეების ქუჩა ეწოდებოდა და რომლისთვისაც კონფერენციის დაწყებისთვის მოასწრეს, დაებრუნებინათ ძველი სახელწოდება — კაიზერის ქუჩა (ამჟამად იგი კარლ მარქსის სახელს ატარებს).

ვილის ყოფილი მფლობელი გამომცემელს ჰ-დ მიულერ-გროტე ქუჩაში გამოასახლეს, მისცეს ერთი საათი სათანადო ნივთების შეგროვებისათვის (სხვათა შორის, მას გაუმართლა: შეეძლოთ, სულაც წიხლი ამოერტყათ, ის ესესელი იყო).

პრეზიდენტის უშუალო გარემოცვაში 53 კაცი იყო. თანაც კავშირგაბმულობის ოფიცერი და კამერდინერი მასთან ერთად ცხოვრობდნენ ვილაში.

არანაკლებ ჩინებული სახლი ეკავა ჩერჩილს. იგი ააშენა სკოლა „ბაუჰაუს“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა ლუდვიგ მის ვან დერ როემ დოიჩებანკის თანამფლობელ ფრანც ურბიგასათვის. ვილა ტრუმენისა და სტალინის ცალკე სახლებს შორის მდებარეობდა. მისი საბოლოო სახის მოყვანაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს, სხვათა შორის, საბჭოთა ოფიცრებმა, რომლებმაც წარმოადგინეს სათანადო მასალები კინოსტუდიიდან UFA.

ბრიტანეთის დელეგაციისა და მომსახურე პერსონალისათვის გამოიყო დაახლოებით 30 ვილა და სხვა ნაგებობები. საცეკვაო დარბაზი, ბარი, პატარა აუზი, მისაღები დარბაზიც კი, სადაც მაღალი რანგის ბრიტანელებს შეეძლოთ, მიეღოთ სტუმრები. დალევაც იაფი იყო.

ვერ გადაურჩნენ კურიოზსაც. ერთ ღამეს ჩაინგრა ჩერჩილის საწოლი, თუმცა, დაუყოვნებლივ შეაკეთეს.

ჩერჩილთან ერთად ვილაში ცხოვრობდნენ მისი ქალიშვილი მერი და მცველი — დეტექტივ-ინსპექტორი ტომი ტომსონი.

ალექსეი სლავინი.

(დასასრული იძნება)

◎ ᲠᲐᲡ ᲕᲭᲐᲛᲗ?

ᲛᲐᲬᲠᲝᲜᲘᲡ ᲛᲘᲘᲠᲗᲛᲔᲕᲗ, ᲑᲐᲢᲠᲝᲜᲝ, ᲗᲣ „ᲛᲐᲬᲜᲘᲙᲝᲡ“

ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲔᲑᲘ ᲒᲔᲜᲛᲝᲓᲘᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ

ᲑᲝᲚᲝ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ დედაქალაქში მოსახლეობაში გახშირებულ კუჭ-ნაწლავთან დაკავშირებული პრობლემების ფონზე, მეტად აქტუალურია სურსათის ხარისხზე, მის ვარგისიანობის კონტროლის გამკაცრებაზე მიმართული ღონისძიებები, რომლებიც მარტო სამომხმარებლო ბაზრის რეგულარული შემოწმებების გარდა, სათანადო საკანონმდებლო ცვლილებებსა და ახალი ნორმატიული აქტების შემოღებას ითვალისწინებს.

ივლისში ამოქმედდა გენმოდიფიცირებული სურსათის შესახებ ინფორმაციის ეტიკეტებზე განთავსების კანონი. მის საფუძველზე ფინანსთა სამინისტრომ გამოსცა ბრძანება ქვეყნის **საბაჟო საზღვრებზე ამ ტიპის სურსათის კონტროლის წესის შესახებ. ამ დოკუმენტის მიხედვით, საბაჟო კონტროლს ექვემდებარება საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადმოტანილი თითქმის ყველა სახეობის სასურსათო პროდუქტი, რომელზეც, საჭიროების შემთხვევაში, გენმოდიფიცირებული პროდუქციის აღმნიშვნელი სათანადო ნიშანდება უნდა იყოს განთავსებული.**

— თუ იმპორტირებულ პროდუქციას ასეთი ნიშანდება არ ექნება, ამ შემთხვევაში მისი ნატურალური წარმოშობა სათანადო თანმხლებ დოკუმენტში უნდა იყოს აღნიშნული, სადაც მითითებული იქნება, რომ ის გენმოდიფიცირებულ ორგანიზმებს არ შეიცავს. სხვა შემთხვევაში, ასეთი საქონელი ავტომატურად რისკის შემცველ ჯგუფში მოხვდება და ლაბორატორიულ გამოკვლევას დაექვემდებარება, — განაცხადა ამასთან დაკავშირებით შემოსავლების სამსახურის აპარატის უფროსმა **ხატია მოისწრაფიშვილმა.**

განმარტების სახით აღვნიშნავთ, რომ **გენმოდიფიცირებულ ცოცხალ ორგანიზმად ის ითვლება, რომელსაც გამრავლების, ან გენეტიკური მასალის გადაცემის უნარი აქვს. ლაპარაკია სათესლე და სანერგე მასალაზე, თუმცა, ამასთან ერთად ასეთივე უნარის მქონე ხილ-ბოსტნეულიც იგულისხმება.**

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შემოსავლების სამსახურში აცხადებენ, რომ ქვეყნის საბაჟო საზღვარზე იმპორტის რეჟიმით შემოტანილი ყველა სახეობის სასურსათო საქონელი შემოწმდება.

ცნობილი ამბავია, რომ სურსათზე კონტროლის როლი განსაკუთრებულად იზრდება წლის ცხელ დროს, ზაფხულში, ამდენად, ბუნებრივია, რომ მუშაობა ამ მიმართულებით ახლა გაცილებით ინტენსიურია. **აგვისტოდან კონტროლი უფრო მკაცრი გახდება რძესა და რძის ნაწარმზე. თვის დამდეგიდან რძის პროდუქციის მწარმოებლები და დისტრიბუტორები, თავიანთი საქონლის წარმოებაში არაცხოველური წარმოშობის ცხიმებისა და დანამატების გამოყენების შემთხვევაში, ტრადიციულ დასახელებებს — „ხაჭო“, „არაჟანი“, „მაწონი“, „იოგურტი“, „კეფირი“ — ველარ გამოიყენებენ.**

სიახლეები გენმოდიფიცირებულ პროდუქციასთან დაკავშირებით

სურსათის ეროვნული სააგენტოს ცნობით, რეგულირების სხვა მუხლები ხუთ წელიწადში ეტაპობრივად შევა ძალაში. აღსანიშნავია ისიც, რომ მცენარეული ცხიმის გამოყენებისას ტერმინების „მსგავსის“ ან „მაგვარის“ გამოყენება ნებადართული იქნება მხოლოდ ერთი წლის მანძილზე, ანუ 2016 წლის 1 აგვისტომდე. რეგლამენტი, რომლის შესაბამისად რძის ნაწარმის მარკირებასა და სტანდარტების დაცვის სავალდებულო მოთხოვნებს ითვალისწინებს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სპეციალისტებმა შეიმუშავეს.

საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ უახლოეს დღეებში, **პირველი აგვისტოდან ასამოქმედებელი მარკირების ახალი რეგულაციის შესაბამისად, მცენარეული ცხიმით დამზადებულ რძის ნაწარმს, მის მწარმოებელ „მაწონს“, „ხაჭოს“, „არაჟანს“ და ა. შ. ამ სახელებს ველარ დაარქმევს, სამაგიეროდ შეიძლება უწოდოს, მაგალითად, „მაწნიკო“, „არაჟისებრი“, „იოგურტის მსგავსი“, „კეფირის მაგვარი“ და სხვ.**

გენმოდიფიცირებული პროდუქციის შესახებ მყიდველის ინფორმირება მწარმოებლებისთვის, იმპორტორებისთვის და დისტრიბუტორებისთვის, როგორც აღვნიშნეთ, ივლისის დამდეგიდან გახდა სავალდებულო. ამის საფუძველი კი „სურსათად ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტების ეტიკეტირების შესახებ“ საქართველოს კანონი გახდა. მისი მიზანია მომხმარებლის ჯეროვანი ინფორმირება სურსათში გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების არსებობის თაობაზე. ეს, უწინარესად, მომხმარებლის უფლებათა დაცვაზე მიმართული რეგულაციაა — მყიდველმა უნდა იცოდეს, თუ როგორია მოსახმარად შეძენილი სურსათის წარმომავლობა, რის საშუალება მას აქამდე, ფაქტობრივად, არ ჰქონდა. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ კანონის მოთხოვნათა შეუსრულებლობა მათი მხრიდან, ვისაც ეს სამეწარმეო მოღვაწეობით ევალება, სოლიდური ჯარიმებით დაისჯება. **სათანადო ეტიკეტირების წესის დარღვევა, ამოქმედებული კანონის შესაბამისად, 5 ათასი ლარით დაისჯება, დარღვევის განმეორებით შემთხვევაში მისი ოდენობა გაორმაგდება და 10 ათას ლარს მიაღწევს. იმ შემთხვევაში, თუ სურსათის ეტიკეტირება შეუძლებელია, თანმხლებ საბუთებში მითითებული უნდა იყოს სათანადო მონაცემები მისი გენური ინჟინერიის გამოყენებით წარმოშობის შესახებ.**

ის სურსათი, რომელშიც გენმოდიფიცირებული ინგრედიენტები იქნება გამოყენებული (რაც ლაბორატორიულად დადგინდება), მაგრამ რომლის ეტიკეტზე აღნიშვნა „გმ“ არ იქნება, განადგურებას დაექვემდებარება. თუკი ბიზნესოპერატორი ასეთ სასურსათო საქონელს თავისით არ გაანადგურებს, იგი 10 ათასი ლარით დაჯარიმდება. მომხმარებელმა აუცილებლად უნდა იცოდეს იმის შესახებ, რომ **სასურსათო საქონლის ეტიკეტზე მარცხენა ზედა კუთხეში აღნიშვნა „გმ“ იმ შემთხვევაში უნდა იყოს განთავსებული, თუკი მასში გენმოდიფიცირებული მდგენელების მთლიანი მასა 0,9 პროცენტზე მეტია.**

საქართველოში გენმოდიფიცირებულ პროდუქციასთან დაკავშირებით ახალი კანონმდებლობის მოთხოვნათა სრულად შესრულებაზე კონტროლი ორ უწყებას, კერძოდ, საზღვარზე შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს, ქვეყნის ტერიტორიაზე კი სურსათის ეროვნულ სააგენტოს აქვს დავალებული.

ᲒᲔᲜᲛᲝᲓᲘᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚ ᲡᲐᲡᲣᲠᲡᲐᲗᲝ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲣᲓᲐᲕᲝᲓ ᲛᲘᲡᲐᲡᲐᲚᲛᲔᲑᲔᲚᲘ, ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲓᲐᲒᲕᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘᲐ. ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲣᲛᲔᲢᲔᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲔᲑᲨᲘ, ᲒᲔᲜᲛᲝᲓᲘᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲝᲛ�პᲝᲜᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲡᲐᲡᲣᲠᲡᲐᲗᲝ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲘ, ᲜᲐᲢᲣᲠᲐᲚᲣᲠᲗᲐᲜ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ, ᲒᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲘᲐᲤᲘᲐ, ᲩᲕᲔᲜᲨᲘ ᲙᲘ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲠᲐᲛ ᲐᲠᲐᲡᲓᲠᲝᲡ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ. ᲐᲮᲚᲐ ᲙᲘ ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲔᲚᲡ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲡᲣᲠᲡᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲩᲔᲕᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲔᲢᲘᲙᲔᲢᲘᲗ ᲨᲔᲔᲫᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ, ᲡᲐᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝᲐ, ᲐᲮᲚᲝ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘ ᲔᲡ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲔᲑᲐ ᲤᲐᲡᲨᲘᲪ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ ᲐᲘᲡᲐᲮᲔᲑᲐ.

ᲝᲗᲐᲠ ᲢᲣᲠᲐᲑᲔᲚᲘᲫᲔ

◎ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐ

ᲰᲔᲠᲔᲗᲨᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲨᲘ ᲛᲦᲕᲓᲔᲚᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲡᲠᲣᲚᲓᲔᲑᲐ

ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ დაკავშირებით ისტორიკოსებმა ბუბა კუდავამ, ბონდო კუპატაძემ და გოჩა საითიძემ პრესკონფერენცია გამართეს. მათ შექმნილი პრობლემის შესახებ ისაუბრეს და აზერბაიჯანისა და საქართველოს ხელისუფლებებს მიმართეს. ბუბა კუდავას ინფორმაციით, ისტორიული ჰერეთის ნაწილი აზერბაიჯანის სახელმწიფოს შემადგენლობაშია. იქ ცხოვრობენ როგორც მუსლიმი, ასევე ქრისტიანი ქართველები. მისივე თქმით, აღნიშნული ტერიტორია მდიდარია ისტორიით, კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშებით და ამ მემკვიდრეობის დიდი ნაწილი სწორედ ქართული და ქრისტიანულია.

7 000 ქართველს ჰქონდა მხოლოდ ერთადერთი მოქმედი კახის წმინდა გიორგის ეკლესია, თუმცა, დაახლოებით ერთი თვის წინათ ქართველ მღვდელს, რომელიც კახში მსახურობდა, არ მიეცა საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის გადაკვეთის საშუალება და ერთადერთი მოქმედი ქართული ეკლესია დღეს დაკეტილია.

„ჩვენ სრულიად ვითვალისწინებთ იმ კეთილმეზობლურ და მჭიდრო ურთიერთობებს, რაც საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის არის. ოდანავადაც არ გვინდა ჩრდილი მივაყენოთ ამ ურთიერთობებს. პირიქით, ვფიქრობთ, რომ ასეთი ფაქტები აყენებენ ჩრდილს ორი ქვეყნის კეთილმეზობლურ ურთიერთობას. ვფიქრობთ, აზერბაიჯანისა და საქართველოს ხელისუფლებებმა, სამთავრობო უწყებებმა, ყველას, ვისაც ეს საკითხი მეტ-ნაკლებად ეხება, ცდა არ უნდა დაიკლონ, რომ ხელოვნურად შექმნილი პრობლემა მოგვარდეს“, — განცხადა ბუბა კუდავამ.

მისივე თქმით, საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს მსგავსი პრობლემები არ აქვთ და არც უნდა ჰქონდეთ, მათ აქვთ რამდენიმე ათეული მოქმედი მეჩეთი და ჰყავთ რამდენიმე ათეული სასულიერო პირი.

ისტორიკოსების თქმით, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მსგავსი პრობლემები ექმნებათ ჰერეთში ქართველ ისტორიკოსებს, სპეციალისტებს, ტურისტებს ისტორიული ძეგლების გადაღება-დათვალიერებისასაც კი. ქართველ ისტორიკოსებს კი საერთოდ არ ეძლევათ საშუალება, შეისწავლონ არსებული ისტორიული ძეგლები და მათი დღევანდელი მდგომარეობა. ძეგლების უმრავლესობა გამოცხადებულია ალბანური კულტურის ძეგლებად.

სპეციალისტების ცნობით, კახის წმინდა გიორგის ეკლესიაში ღვთისმსახურება 1990 წელს აღდგა და 25 წლის განმავლობაში ლოცვა განუწყვეტლივ აღევლინებოდა. ისტორიკოსები მიიჩნევენ, რომ სამართლიანი და ბუნებრივი უფლებები, რომლებიც საქართველოში აზერბაიჯანულ თემს გააჩნია, აზერბაიჯანში ქართულ თემსაც უნდა ჰქონდეს.

◎ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐ

ᲕᲔᲠᲔᲡ ᲮᲔᲝᲑᲐᲨᲘ 13 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ ᲦᲐᲛᲘᲗ 100 ᲛᲘᲚᲘᲛᲔᲢᲠᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲜᲐᲚᲔᲥᲘ ᲛᲝᲕᲘᲓᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ საკრებულოში გარემოს დაცვის კომისიის სხდომა გაიმართა, რომელზეც გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსმა თამარ ბაგრატიამ 13 ივნისს მდინარე ვერეს ხეობაში განვითარებულ სტიქიურ მოვლენებზე დასკვნა წარადგინა.

ანგარიშის თანახმად, 13 ივნისის ღამეს მდინარე ვერეს აუზში წვიმის ნალექების რაოდენობა იყო 100 მილიმეტრზე მეტი, რაც მაღალია. მდინარე ვერეს ორმოცივე შენაკადი ღვარცოფულ მდინარედ იქცა, ჩამოწვა მეწყერი, რომელიც ვერეში ღვარცოფულ მასად გადაიქცა. ბაგრატიას თქმით, მდინარე ვერეს სიგრძე 38 კილომეტრია და ასეთი სიგრძის მდინარეებისთვის მდინარის ნაპირიდან 20 მეტრში შენობა-ნაგებობების აგება აკრძალულია.

ბაგრატიას თქმით, ვერე სხვადასხვა დროს არაერთხელ ადიდდა და ამდენად, იგი საკმაოდ რთული მდინარეა. გარემოს ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა ასევე განაცხადა, რომ ვერეს ხეობაში 75 მეწყრული უბანი აღინუსხება.

ანგარიშის წარდგენისას თამარ ბაგრატიამ ადრეული შეტყობინების სისტემის აუცილებლობაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ საქართველოს ამ მხრივ არანარი გამოცდილება არ გააჩნია. უცხოელ სპეციალისტებთან ერთად რამდენიმე მდინარეზე ასეთი სისტემა განთავსდა.

ადრეული შეტყობინების სისტემა დამონტაჟდა ვერეს აუზშიც, თუმცა, ბაგრატია აცხადებს, რომ მდინარე ვერეზე არსებული შეტყობინების სისტემა ეს ის არ არის, რაც სასურველია, რომ იყოს. რეკომენდაციის სახით ბაგრატია ასევე აცხადებს, რომ უნდა აშენდეს ე.წ. ხერხეულიძის კედელი, რომელიც თუ მდინარე ვერეში ღვარცოფული და მეწყრული მოვლენები განვითარდა, ხე-ტყის მასას დაიჭერს, აღნიშნულის შედეგად კი, გვირაბების ჩახერგვა აღარ მოხდება.

◎ ფეხბურთი

ჩვენ თუ გვიფრთხის ვინძე?

გემახსოვრებათ, როგორი ვნებათაღელვა მოჰყვა საფეხბურთო (და არა მარტო) სამყაროში რუსეთისა და ყატარისთვის 2018 და 2022 წლების მუნდიალების მასპინძლობის უფლების მინიჭებას. კორუფციის ჭაობში ჩაფლული ფიფასა და მისი ოდიოზური თავკაცის – ზეპ ბლატერის წინააღმდეგ აგორებულ სკანდალსა და შესაბამისი სანქციების გატარების კამპანიას თვით ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია ჩაუდგა სათავეში, თუმცა, მხოლოდ იმას მიაღწია, რომ მორიგი საპრეზიდენტო ვადით არჩეულმა შვეიცარიელმა იურისტმა, მართალია, ხმამაღლა განაცხადა თანამდებობიდან საკუთარი ნებით გადადგომის შესახებ, მაგრამ დღესაც იგი უძღვება ყველაზე რეპუტაციაშელახულ სპორტულ ორგანიზაციას და უახლოესი მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორი ქვეყანა დიდ პატივსაც მიაგებს მას. რატომაც არა – იყიდა თუ არა ხმები, რაც სათანადო ორგანოებმა უნდა გაარკვიონ, ფაქტი ფაქტად რჩება – პუტინის რუსეთს, მიუხედავად მუქარებისა და ბოიკოტის საფრთხისა, ყველა სურვილი თუ კაპრიზი უსრულდება (საილუსტრაციოდ მხოლოდ სოჭისათვის ზამთრის ოლიმპიადისა და ავტოსპორტში ფორმულა –1-ის ერთერთი ეტაპის მოწყობის პრეროგატივის მიკუთვნებას დავასახელებთ)! ასეთ ფონზე უკვე სასაცილოდაც გამოიყურება იმ ვერსიის გაჟღერებაც კი, რომ ჩვენს ჩრდილოელ მეზობლებს მუნდიალის მიღების უფლება ჩამოართვან, მით უმეტეს მაშინ, როცა სტახანოვური ტემპებით მიმდინარეობს სტადიონების აშენება-რეკონსტრუქცია და ნევისპირა ქალაქში, თქვენ წარმოიდგინეთ, მომავალი ფორუმის შესარჩევი ეტაპის წილისყრაც გაიმართა.

ევროპა

„ა“ ჯგუფი. ჰოლანდია, საფრანგეთი, შვედეთი, ბულგარეთი, ბელარუსი, ლუქსემბურგი.

„ბ“ ჯგუფი. პორტუგალია, შვეიცარია, უნგრეთი, ფარერები, ლატვია, ანდორა.

„გ“ ჯგუფი. გერმანია, ჩეხეთი, ჩრდილოეთ ირლანდია, ნორვეგია, აზერბაიჯანი, სან მარინო.

„დ“ ჯგუფი. უელსი, ავსტრია, სერბეთი, ირლანდია, მოლდოვა, საქართველო.

„ე“ ჯგუფი. რუმინეთი, დანია, პოლონეთი, მონტენეგრო, სომხეთი, ყაზახეთი.

„ვ“ ჯგუფი. ინგლისი, სლოვაკეთი, შოტლანდია, სლოვენია, ლიტვა, მალტა.

„ზ“ ჯგუფი. ესპანეთი, იტალია, ალბანეთი, ისრაელი, მაკედონია, ლიხტენშტეინი.

„თ“ ჯგუფი. ბელგია, ბოსნია, საბერძნეთი, ესტონეთი, კვიპროსი.

„ი“ ჯგუფი. ხორვატეთი, ისლანდია, უკრაინა, თურქეთი, ფინეთი.

შეგახსენებთ, რომ ევროპის კონტინენტიდან ფინალურ რაუნდში 14 ნაკრები ითამაშებს: მასპინძელი რუსეთი და ცხრა პირველადგილოსანი – ავტომატურად, პლუს რვა საუკეთესო მეორეადგილოსანთა პლეიოფში გამარჯვებულთა კვარტეტი. ევროპის ზონის საკვალიფიკაციო ტურნირი გაისად 4 სექტემბერს დაიწყება და 2017 წლის 14 ნოემბერს დასრულდება.

რაც შეეხება საქართველოს ეროვნული ნაკრების მეტოქეებს, მოკლედ მოვჭრით: არავინ შეიყვანოს შეცდომაში იმ ფაქტმა, რომ ჩვენი ჯგუფის სათავეში რომელიმე გრანდი არ არის. სამაგიეროდ, კვლავ ვერ ავცდით „მარადიულ სიმსივნეს“ – ირლანდიას, ასევე ისეთ კერკეტ კაკლებს, როგორიცაა სერბეთი, ავსტრია და ერთ დროს ჩვენს მიერ გაბითურებული უელსი. სხვათა შორის, ისიც კარგად გვახსოვს, თუ როგორ ჩაგვამწარა პირველი შესარჩევი ციკლი მოლდოვამ.

ისე, საინტერესოა – ჩვენი გუნდის თუ ეშინია ვინმეს?

გიორგი ზოთაძე

◎ მერვედ

ოლიმპისაკენ ქართველთა გზამკვლევი

ნინო სალუქვაძე რიოს ლიცენზიატია

ეს უკვე ტრადიციად იქცა – ზედიზედ მეოთხე თამაშებია, ქართველ სპორტსმენთა ოლიმპიადებისკენ გზამკვლევად სეულის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ნინო სალუქვაძე გვევლინება. ჩვენებურთაგან ათენის, პეკინისა და ლონდონის თამაშების პირველი ლიცენზიები სწორედ ნინომ მოიპოვა. ტრადიცია მან არც ამჯერად დაარღვია და სლოვენიურ მარიბორში, სადაც ტყვიის მსროლელთა ევროპის ჩემპიონატი გაიმართა, ჩვენს ქვეყანას „რიო 2016“-ის პირველი საგზური მოუტანა. სახელოვანი სპორტსმენისთვის ეს მერვე ოლიმპიური თამაშები (!) იქნება.

მარიბორში სპორტსმენები სპორტული პისტოლეტით ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. სალუქვაძემ საკვალიფიკაციო ეტაპი 585 ქულით დაასრულა. 587 ქულით პირველი იყო უკრაინელთა მსოფლიოს და ოლიმპიური ჩემპიონი ოლენა კოსტევიჩი. მას კვალში მისდევდნენ ევროპის ვიცეჩემპიონები - რუსი იულია ალიპოვა (586) და ბულგარელი ანტონანეტა ბონევა (585). ბულგარელმა ჩვენებურს მხოლოდ დამატებითი მაჩვენებლებით გაუსწრო, თუმცა, ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან ნახევარფინალში საკვალიფიკაციოს შედეგები უქმდებოდა. ქართველმა ჩუბინმა იქაც იყოჩაღა და საუკეთესოთა ოთხეულში მოხვდა კოსტევიჩთან, ბელარუს ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების მრავალგზის პრიზიორ ვიქტორია ჩაიკასა და უნგრელ ევროპის ვერცხლისმედალოსან სოფია ჩონკასთან ერთად. დამატებით სროლაში უფრო ზუსტნი ჩონკა და ჩაიკა აღმოჩნდნენ. ოქროსთვის პაექრობაში უნგრელმა 8:6 მოუგო ბელარუსს, ხოლო მესამე ადგილისთვის პაექრობაში კოსტევიჩმა ჩვენებურს 7:5 აჯობა. მთავარი ის არის, რომ ამ ჩემპიონატზე რიო დე ჟანეიროს მხოლოდ ორი საგზური თამაშდებოდა. ფინალური ოთხეულიდან კოსტევიჩსა და ჩაიკას უკვე ჰქონდათ დაჯავშნული ბრაზილიაში გასამგზავრებელი ბილეთები, ამიტომ ის ორი ლიცენზია ჩონკასა და სალუქვაძეს ერგოთ.

მარიბორში შესანიშნავად იასპარეზა ნინო სალუქვაძის ვაჟმა ცოტნე მაჭავარიანმაც – ახალგაზრდებში იგი 538 ქულით ფინალში მოხვდა, საბოლოოდ კი მეხუთე ადგილი დაიკავა. ჩემპიონობა ბულგარელმა ალექსანდრ ტოდოროვმა მოიპოვა.

ვაჟა დანელია

◎ ჭიდაობა

სამივე სინჯის თითო მედალი

საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა ვარშავაში გამართულ ვაცლავ ციოლკოვსკის მემორიალში სამივე სინჯის თითო მედალი მოიპოვა. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე მძიმეწონოსანი გენო პეტრიაშვილი ავიდა, ხოლო მეორე და მესამე ადგილები, შესაბამისად, ელიზბარ ოდიკაძესა (97) და ბექა ლომთაძეს (61) ერგოთ.

პეტრიაშვილმა ზედიზედ სძლია პოლონელ კაროლ ტურჩინსკისა (5:0, 4:2) და ჩინელ დენ შივეის (4:1, 6:2), ნახევარფინალური შეხვედრა რუსთა ჩეჩენ ფალავან მურადინ კუშხოვთან კი ფრედ – 2:2 დაასრულა. ბოლო ქულის წყალობით (1:0, 1:2) გამარჯვება ჩვენებურს ერგო და ფინალში გავიდა, სადაც ბელარუსი ალექსეი ნიკოლაევი დაამარცხა (2:0, 4:0) და პირველი ადგილი დაიკავა.

ევროპული თამაშების ვიცეჩემპიონმა ოდიკაძემ კვარცხლბეკისკენ მიმავალ გზაზე ჩამოიცილა თურქი რიზა ილდირიმი (3:2, 5:0), იაპონელი იამაგუჩი ტოლასკი (4:0, 1:0), ირანელი მოჰამადიან მოჰამედჰოსეინი (1:0, 4:2), თურქი იბრაჰიმ ბოლუკბასი (პირველი პერიოდი 0:2 დათმო, მეორე 3:0 მოიგო), თუმცა გადამწყვეტი პაექრობა ირანელ აბას ტაჰანთან დათმო (1:3) და „ვერცხლს“ დაყაბულდა.

ლომთაძე პირველ წრეში ისვენებდა, მეორეში კი იაპონელ მასდრამ კამოის დანებდა – 2:6 5:4 და პირდაპირ დამამშვიდებლის ფინალში გავიდა, სადაც ბაქოს თამაშების შემდეგ ბულგარელთა მსოფლიოს ჩემპიონ რადოსლავ ველიკოვს ზედიზედ მეორედ სძლია – 5:0, 4:1 და ბრინჯაოს მედალი ხვდა.

თამაზ პატარაია

◎ 7-კაცა რაგბი

ზედიზედ მესამედ გაიმარჯვეს

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის (სეუ) 7-კაცა მორაგბეთა გუნდმა ზედიზედ მესამედ მოიგო ევროუნივერსიადა, რომელსაც უნგრეთის დედაქალაქმა ბუდაპეშტმა უმასპინძლა (წინა ორ უნივერსიადაში სეუ-ს ნაკრებმა სოფიასა (2013) და როტერდამში (2014) მიაღწია წარმატებას). ქართველმა სტუდენტებმა (დიმიტრი კალანდაძე, ბახვა კობახიძე, შალვა დავითაშვილი, ჟორჟი სალდაძე, იოსებ კიკვაძე, ლაშა ფოფხაძე, გიორგი ბაბუნაშვილი, ბექა ბებიაშვილი, ლევან კალანდარიშვილი, დაჩი კოპაძე, ბაჩანა კოლელიშვილი, რევაზ ჯინჭველაშვილი, მთავარი მწვრთნელი ბესიკ ხამაშურიძე) ზედიზედ სძლიეს უნგრეთის (50:0), ჰოლანდიის ქალაქ უტრეხტის (33:7), პორტუგალიის (17:12), გერმანიის (45:5), მოლდოვის (25:7), იტალიის (25:7) უნივერსიტეტების გუნდებს, ფინალში ისევ აპენინელებს აჯობეს 61:10 და ჩემპიონობა მოიპოვეს.

7-კაცა რაგბის ევროპული უნივერსიადების ისტორიაში სეუ ერთადერთი უნივერსიტეტია, რომლის მორაგბეებსაც ჯერ არცერთი თამაში არ წაუგიათ – 22 გამარჯვებით კონტინენტის ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებს შორის რეიტინგით პირველ ადგილზე არიან.

ნანა ნავაძე

◎ ჩოგბურთი

მთავარი პრიზით — ტიტების ქვეყნიდან

თბილისელმა ჩოგბურთელმა ნიკოლოზ ბასილაშვილმა (მსოფლიო კლასიფიკაციით 118-ე) წარმატებით იასპარეზა შევენინგენის (ჰოლანდია) საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 42.500 ევრო). ერთეულთა თანრიგში მან ზედიზედ სძლია რუს ფილიპ დავიდენკოს (4:6, 6:3, 6:3), გერმანელ ფლორიან მაიერს (6:2, 5:7, 6:4), სლოვაკ ანდრეი მარტინს (6:1, 1:6, 6:3), მასპინძელ თიემო დე ბაკერს (3:6, 7:5, 6:2), რუს ანდრეი კუზნეცოვს (122-ე) და პირველი ადგილი დაიკავა, რითაც 90 სარეიტინგო ქულა დაიმსახურა და ჯილდოდ 6.150 ევროც ერგო. ამ კვირაში ბასილაშვილი იტალიაში ბიელას საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 42.500 ევრო) პირველ ნომრად ჩაებმება. სტარტზე იგი პორტუგალიელ პედრო სოუზას დაუპირისპირდება.

ლაშა დიდია

სურათზე: ნიკოლოზ ბასილაშვილი.

◎ ნიჩბოსნობა

შარშანდელი უდიები ვერ გაიმეორა

ახალგაზრდა ნიჩბოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატში, რომელსაც პორტუგალიამ უმასპინძლა, კანოეთი 23-წლამდელთა 200-მეტრიან დისტანციაზე 2014 წლის მსგავსი შეჯიბრების ბრინჯაოს მედალოსანმა ზაზა ნადირაძემ (მცხეთა) ფინალში დისტანცია 39.812-ში დაფარა და მე-4 ადგილზე გავიდა. ბრინჯაოს მედალოსან ჩეხ მარტინ ფუკსას იგი 0.388 წამით ჩამორჩა. პირველი ადგილი ჰენრიკას უუტაუტასმა (ლიტვა, 38.816) დაიკავა, ხოლო ანდრეი კრაიტორი (რუსეთი, 38.823) მეორე იყო. ამავე ასაკში ერთადგილიანი კაიაკით (ბაიდარა) ბადრი ყაველაშვილმა 200-მეტრიანი დისტანციის A ფინალში 36.472 წამით მე-9 ადგილი დაიკავა. 18-წლამდელებში ერთადგილიანი კანოეთი ფოთელმა მურმან მალანიამ B ფინალში ყველას აჯობა (42.340), საბოლოოდ კი მე-10 ადგილზე გავიდა. ნადირაძე და ყაველაშვილი დუშელ მარიამ ქერდიკაშვილთან ერთად აგვისტოს მეორე ნახევრიდან სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატში გამოვლენ, რომელიც იტალიურ მილანში გაიმართება.



გივი გაგუა

სურათზე: ზაზა ნადირაძე.

განცხადება

გაცნობებთ, რომ 2015 წლის 17 აგვისტოს 12 საათზე გაიმართება სს „სასწავლო ავიაცენტრის“ (ს.კ. 208141991) აქციონერთა საერთო კრება საზოგადოების იურიდიულ მისამართზე: თბილისი სამგორის რაიონი, აეროპორტი.

დღის წესრიგი:

1. საზოგადოების წესდების ახალი რედაქციის მიღება.
2. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა.

აქციონერებს უფლება აქვთ სამუშაო დღეებში 10.00-დან 18:00-მდე, ნებისიმერ დროს საზოგადოების იურიდიულ მისამართზე გაეცნონ ინფორმაციას წესდების ახალი რედაქციისა და საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრების შესახებ.

◎ სულიერება

წმინდა მოწამენი — კვირიკე და ივლიტა

28 ივლისს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს წმინდა მოწამეებს კვირიკეს და ივლიტას.

ქრისტიანი იყო და სურდა, ქრისტიანულად აღეზარდა თავისი შვილი — სწორედ ამიტომ დასაჯეს დედა-შვილი უსჯულოებმა.

წმინდა ივლიტას და კვირიკეს სახელზე ბევრი ტაძარია აშენებული საქართველოში. საგულისხმოა, რომ კვირიკეს წმინდა ხელის მტევანი საქართველოშია დასვენებული.

არც ის მოვლენაა, ალბათ, შემთხვევითი, რომ წმინდა კვირიკეს სახელს უკავშირდება, „კვირიკობისთვე“ — ივლისი.

განსაკუთრებული ზეიმით ხვდებიან კ. გამსახურდიას ქუჩაზე მდებარე ეკლესიაში დღევანდელ დღეს, რომელიც მოწამეთა კვირიკესა და ივლიტას სახელობისაა.

გიული ლიპარტია

საქართველოს ონკოლოგთა და თორაკალურ ქირურგთა ასოციაციები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ტრაგიკულად დაიღუპა გამოჩენილი რადიოლოგი, პროფესორი

ლია

გზირიშვილი

და გულითადად თანაუგრძნობენ მეუღლეს, პროფ. ლადო კუჭავას, მის ოჯახს, ახლობლებს და მეგობრებს.

ქალბატონი ლია გზირიშვილი გახლდათ დიდი პროფესიონალი და უსათნოესი პიროვნება.

ნათელი მის ხსოვნას.

◎ სამწუხარო დანაშაული

ტრაგედია მისაქციელთან

ავტომანძანას, რომელმაც მცხეთის რაიონის სოფელ მისაქციელთან 15 წლის მოზარდი იმსხვერპლა, ევროკავშირის დიპლომატიური მისიის წარმომადგენელი მართავდა.

15 წლის უშიშა ყორიაულს წარმოშობით პოლონელი, ევროკავშირის დიპლომატიური მისიის თანამშრომელი დაეჯახა. ამასთან, მას შემთხვევის ადგილიდან მიმალვა არ უცდია და გამოძიებასთან თანამშრომლობს.

საქმეზე დაწყებულია გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეოთხე ნაწილით, რაც სატრანსპორტო საშუალების უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

გარდა ამისა, არსებული ინფორმაციით, მოზარდს დიპლომატიური ნომრების მქონე „აუდის“ მარკის ავტომობილი დაეჯახა. როგორც თვითმხილველები ამბობენ, გუშინდელი შემთხვევის ადგილზე სწორედ ამ ნომრების მქონე დაზიანებული ავტომობილი იდგა.

ამასთან, სამართალდამცველ უწყებაში არ აკონკრეტებენ, არის თუ არა დაკავებული ვინმე ან დაეჯახა თუ არა მოზარდს დიპლომატიური ნომრების მქონე ავტომობილი.

დაკავებულია ნარკოტიკების შეძენა-შენახვისთვის

შსს-ს ინფორმაციით, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1964 წელს დაბადებული თეიმურაზ ლ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით თბილისი-სენაკი-ლესელიძის ავტომაგისტრალის 21-ე კილომეტრზე დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 17 აბი „სუბოქსინი“ და 14 აბი „სუბუტექსი“ ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 0,248 გრ ბუპრენორფინს შეიცავს. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

დამაფიქრებელი სტატისტიკა

შინაგან საქმეთა სამინისტრო ივნისის თვის და იანვარ-ივნისის დანაშაულის სტატისტიკას აქვეყნებს. შს სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნული სტატისტიკა ასახავს როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს, ასევე საქართველოს ყველა საგამოძიებო უწყების მონაცემებს, რომელიც მოიცავს საქართველოში არსებულ იმ სამინისტროების სტრუქტურაში შემავალ დანაყოფებს, რომლებიც თავიანთი ქვემდებარეობის მიხედვით აწარმოებენ გამოძიებას სისხლის სამართლის საქმეებზე.

2015 წლის ივნისის თვეში საქართველოს ყველა საგამოძიებო უწყების მიერ რეგისტრირებულია 3089 დანაშაული, რომელთაგან გაიხსნა 1386 დანაშაული. დანაშაულის გახსნის პროცენტია 44.87%. ხოლო წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით დანაშაულის პროცენტული კლებაა 0.87%.

2015 წლის ივნისი, შსს-ს ტერიტორიული დანაყოფების საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით:

2015 წლის ივნისის თვეში შსს-ს ტერიტორიული დანაყოფების საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით რეგისტრირებულია 2016 დანაშაული, რომელთაგან გაიხსნა 1203 დანაშაული. დანაშაულის გახსნის პროცენტია 59.67%. ხოლო წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით დანაშაულის პროცენტული მატებაა 0.70%.

მატება ძირითადად განპირობებულია სსკ 1261 მუხლით „ოჯახში ძალადობა“ (87.23%) და 236 მუხლით „ცეცხლსასროლი იარაღის, (გარდა გლუვლულიანი სანადირო თოფისა) საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება“ (171.43%) გათვალისწინებულ რეგისტრირებულ დანაშაულთა ხარჯზე.

2015 წლის იანვარ-ივნისის თვეებში საქართველოს ყველა საგამოძიებო უწყების მიერ რეგისტრირებულია 17434 დანაშაული, რომელთაგან გაიხსნა 9772 დანაშაული. დანაშაულის გახსნის პროცენტია 56.05%. ხოლო წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით დანაშაულის პროცენტული კლებაა 4.93%.

2015 წლის იანვარ-ივნისის თვეებში შსს-ს ტერიტორიული დანაყოფების საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით რეგისტრირებულია 12205 დანაშაული, რომელთაგან გაიხსნა 8137 დანაშაული. დანაშაულის გახსნის პროცენტია 66.67%. ხოლო წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით დანაშაულის პროცენტული კლებაა 5.25%.

თბილისისა და სოფიის ინტერპოლის ბიუროების ერთობლივი საქმიანობით, ბულგარეთის რესპუბლიკაში, სილისტრაში 1971 წელს დაბადებული ზაზა ბ. დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, აღნიშნული პირი საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ 2009 წლიდან იძებნებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-108 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, რაც მკვლელობის მცდელობას გულისხმობს.

2009 წლის 27 სექტემბერს ზაზა ბ-მ ეჭვიანობის ნიადაგზე შურისძიების მოტივით მოქალაქეს ცივი იარაღით სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე ხარისხის დაზიანებები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

აღნიშნული პირის ბულგარეთის რესპუბლიკაში დაკავების შესახებ თბილისის ინტერპოლის ბიურომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს მთავარ პროკურატურას აცნობა.

რეკლამა მაჩაბლის ქ. №7.
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 293-37-87; 568 82-09-84..

NASA-მ მეორე „დედამიწა“ აღმოაჩინა...

„დღეს ჩვენ ვაცხადებთ ახალი ექსოპლანეტის აღმოჩენის შესახებ, რომელიც, შეიძლება ვთქვათ, დედამიწის ახლო ნათესავია, მასთან ყველაზე ახლოს დგას. ეს არის დედამიწა 2.“, — განაცხადა ბრიფინგზე 23 ივლისს NASA-ს სამეცნიერო მისიების ადმინისტრატორის თანაშემწე ჯონ გრინსფელდმა.

როგორც ბრიფინგზე პროექტ Kepler-ის მონაცემთა ანალიზის ჯგუფის ხელმძღვანელმა ჯონ ჯენკინსმა აღნიშნა, პლანეტა სახელწოდებით Kepler 452b ზომით დედამიწაზე 1,5-ჯერ დიდია. ვარსკვლავი, რომლის გარშემოც პლანეტა ბრუნავს, მზის მსგავსია, წელიწადიც პლანეტაზე თითქმის დედამიწის წელიწადს უტოლდება. Kepler 452b დედამიწიდან 1400 სინათლის წელიწადის მანძილზე, გედის თანავარსკვლავედში მდებარეობს. ვარსკვლავი Kepler 452b დაახლოებთ ექვსი მილიარდი წლისაა, რაც მზის ასაკს მილიარდნახევარი წლით აღემატება.

ჯონ ჯენკინსის თქმით, პლანეტის ზომა და მისი დაშორება ვარსკვლავისგან იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ მასზე პოტენციურად შეიძლება სიცოცხლე არსებობდეს. მისი თქმით, პლანეტა მილიარდობით წლის მანძილზე ე. წ. „სიცოცხლის ზონაში“ იმყოფებოდა, ეს კი ნიშნავს მასზე მოცემულ მომენტში, ან წარსულში სიცოცხლის არსებობის შესაძლებლობას.

ეს დედამიწის ტიპის პლანეტის აღმოჩენის პირველი შემთხვევაა. პირველი ე. წ. ექსოპლანეტა — მზის სისტემის გარეთ მდებარე პლანეტა, 1992 წელს აღმოაჩინეს. კოსმოსური ტელესკოპის Kepler-ის მეშვეობით ექსოპლანეტებზე დაკვირვება 2009 წლიდან მიმდინარეობს. მისია Kepler-ის ამოცანა დედამიწის მსგავსი პლანეტების აღმოჩენაა, რომლებზეც სიცოცხლის არსებობა არის შესაძლებელი. მისიის ფარგლებში სულ 1000 ექსოპლანეტა იქნა შესწავლილი.

ჯენკინსის ვარაუდით, ჩვენს გალაქტიკაში Kepler 452b ტიპის კიდევ მრავალი პლანეტა უნდა არსებობდეს.

newposts.ge

◎ სათრეველები ჟორნალისტებზე

ცეკვა დაკვეთით

ჟორნალისტობა რადგან უკვე ძალზე ხშირია,
დე, ყველა მიხვდეს, რომ სიმართლის არ გვეშინია,
რაკიღა ვხედავთ, სხვის დაკრულთან რა კავშირი აქვთ...

დემონ-კრატობანა

მიაჩნია სიხარბე,
ტრაბახი და სიყალბე,
მამამისის ცხონებად.
გულს თუ არ ეხატები,
ყალბი კომპრომატებით
თავის „ფიშტოს“ დატენის,
გაგიმწარებს ცხოვრებას.
ბევრი წყვილი წაჰკიდა,
რადგან უყვარს აკვნიდან
შხამით ენაჭარტლობა.
გავლილი აქვს გზა-ბნელი,
და ჭორით რომ გაგბერავს,
ამას გითვლის მჯღაბნელი
ნამდვილ დემოკრატობად.

ენაჭარტლობა — Злоязычие (დ. ჩუბინაშვილი)

მორიელები ვერ გამოვლიეთ

ჭორი სიკეთე ვისაც ჰგონია,
მე ვერ ვუწოდებ იმას გონიერს,
ჰგავს ჭორიკანა შხამით მორიელს,
რომელიც დღემდე ვერ გამოვლიეთ.

ალექსანდრე შენგელია

თბილისის ჰაერი მტვრითაა დაბინძურებული

ამის შესახებ გარემოს ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა თამარ ბაგრატიამ განაცხადა.

მისივე თქმით, ჰაერის დაბინძურების მონიტორინგის განხორციელების მიზნით თბილისში სამი სტაციონარული ჯიხურია, რომელიც განთავსებულია კვინიტაძის ქუჩაზე, წერეთლისა და მოსკოვის გამზირებზე.

ბაგრატიას განცხადებით, ჰაერში ისაზღვრება ნახშირჟანგი, გოგირდის დიოქსიდი, აზოტის ოქსიდი, ოზონი და სხვა დამაბინძურებელი ინგრედიენტები.

2015 წლის პირველ ნახევარში ჯიხურებზე აღებული მონაცემების მიხედვით, ანალიზების 81%-ში მტვრის რაოდენობა ნორმას აღემატებოდა. ეს ნიშნავს, რომ ანალიზების 81%-ში გვაქვს დაშვებულ ნორმაზე მეტი მტვრის ნაწილაკების კონცენტრაცია.

მისივე თქმით, მტვრის შემცველობა ჰაერში მაღალია ქუთაისშიც და რუსთავშიც.

ამასთან, ბაგრატიას განცხადებით, გარდა მტვრისა, თბილისის ჰაერში პერიოდულად აღინიშნება ნახშირჟანგის მომატებული კონცენტრაციებიც. აღნიშნული ანალიზების 14%-ში გამოვლინდა.

საუბრისას ბაგრატიამ დასძინა, რომ მათ იაპონიის მთავრობა ეხმარება და მომავალ წელს თბილისში ჰაერის დაბინძურებაზე მონიტორინგის განსახორციელებლად ოთხი ავტომატური თანამედროვე სადგური ექნებათ, რითაც თბილისის ჰაერის მონიტორინგი უკეთესად განხორციელდება.

იყიდება

იყიდება უშუალოდ კურორტ „საირმის“ ტერიტორიაზე, სამკურნალო წყლების წყაროებიდან სამოციოდე მეტრში მდებარე 2430 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი, სადაც, სურვილისამებრ, ერთდროულად შეიძლება როგორც სანატორიუმის, ისე სამკურნალო-სააბაზანოს, ფიტნესკლუბის, კინოთეატრისა თუ სხვა ნაგებობათა აშენება. ყველა კომუნიკაცია არის. ფასი შეთანხმებით. ტელ: 5 99 98 56 33; 599 37 00 35.

პაციენტთა საყურადღებოდ!

ეს არ არის **რეკლამა!** სამედიცინო რეკლამა მისი უხეირობის ნიშანია. ეს მხოლოდ **ინფორმაციაა...**

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, 0112, თევდორე მღვდლის 13. ტელ: (995 32)224 00 99, 224 00 98.

ყურადღება!

იყიდება დიდ დიღომში „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს მდებარე 1400 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შეღებილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით. დატოვებულია ადგილი როგორც საცხოვრებელი სახლისთვის, ისე საცურაო აუზისა და სასპორტო მოედნისთვის. ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით. **ტელ: 599 168 171; 598 51 81 35.**

რეკლამა

29 3-37-87;
568 82-09-84.
მაჩაბლის ქ. №7.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

ორი ძმაკაცი საუბრობს:

— ჩემი შეყვარებული მობილური ტელეფონივითაა.

— რა გაგებით?

— როცა ფული არა მაქვს, იგი დროებით მიუწვდომელია.

* * *

გასაყიდად გამოვიდა კრებული „საუკეთესო ნეკროლოგები“. გაახარეთ სიდედრი ლამაზი საჩუქრით!

* * *

— **ძვირფასო,** მე უკვე მზადა ვარ ბავშვებისთვის.

— მე კი არა!

— ვერაფერს ვერ იზამ. ზაფხული თავდება, ისინი სოფლიდან უნდა ჩამოვიყვანოთ.

* * *

— **შენში** რაიმე გრძნობა მაინც დარჩა ჩემდამი?

— კი. დაღლილობისა.

* * *

— **ძვირფასო,** — ეუბნება ცოლი ქმარს პირველი საქორწინო ღამის შემდეგ, — სინამდვილეში ახლაღა მივხვდი, რას ნიშნავს ფრთიანი ფრაზა — „თითქოს უმნიშვნელოა, მაგრამ სასიამოვნოა“.

◎ კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორის მაგიერ
სპარტაკ ჯობულია
293-37-87;
599 36-00-35

რედაქტორთა საბჭო:
ალეკო ასლანიშვილი 599 56-81-86;
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24